ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 ივნისი 2002 №104 (1626) | ფასი 50 თეთრი


2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ინგლისმა არგენტინას ბოლო კუნძული წაართვა






არგენტინელთა კარში გამარჯვების გოლი დევიდ ბექემმა გაიტანა

ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომის მეოცე წელს ინგლისმა გაიხსენა, რომ ის ომი მოგებული აქვს და უკვე სხვა კუნძულებზე და სხვა ბრძოლის ველზეც დაამარცხა არგენტინა. მთელი ოცი წელი ფეხბურთი იყო ერთადერთი სფერო, რაშიც არგენტინა სჯობნიდა ინგლისს.

გუშინ გასამარჯვებლად ინგლისს არც „ღვთის ხელი“ დასჭირვებია, არც პროვოცირებით მეტოქის გაძევება და ისიც სიმბოლურია, რომ გამარჯვების გოლი სწორედ დევიდ ბექემმა გაიტანა.

ხოლო რომ არა არგენტინა — ინგლისი, გუშინდელი დღის უმთავრესი ამბავი ესპანეთის ჯგუფიდან გასვლა იქნებოდა. კარლეს პუიოლის ავტოგოლით დაწყებული მატჩი ესპანელებმა მუნდიალის პირველი მერვედფინალისტობით დაამთავრეს.

გუშინვე შვედებთან მარცხის შემდეგ ნიგერიას ჩემპიონატიდან ასაბარგებლად გაუხდა საქმე.

საერთოდ კი, რა ხდება? სიკვდილის ჯგუფში ლიდერი შვედეთია, იქით საფრანგეთია მაჩანჩალა. კიდევ რას უნდა ველოდოთ?







REUTERS

რაულისთვის დასარტყმელად უხერხული პოზიცია არ არსებობს

# სიტყვის გამტეხი დონ ჩილავერტი

გიორგი დარჩიანია

თუკი ფეხბურთი მხოლოდ ანგარიშია, მოკლედ ვთქვათ, რომ ესპანეთმა პარაგვაის 3:1 მოუგო და პირველი გუნდი შეიქნა, რომელმაც მერვედფინალში გააღწია — სამხრეთ აფრიკისა და სლოვენიის დღევანდელი მატჩის ანგარიშის და ბოლო ტურის შედეგების მიხედვით ესპანელებმა შესაძლოა, ჯგუფში პირველი ადგილი დაკარგონ, მაგრამ მეორე ადგილს რომ არ ჩასცდებიან, ბეჭედდარტყმულია.

მაგრამ მხოლოდ იმის თქმა, რომ მატჩი 3:1 დასრულდა, არაფრის თქმას ნიშნავს, რადგან მატჩამდეც და მისი მსვლელობის დროსაც რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა, რაზეც ლაპარაკი ღირს.

მატჩის დაწყების წინ ხოსე ლუის ჩილავერტი იკერ კასილიასთან მივიდა, ხელი მამაშვილურად გადახვია მხარზე და ღიმილით (თურმე შეძლებია!) რაღაც უთხრა. ობიექტურ მიზეზთა გამო ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა ჩილავერტმა კასილიასს, ამიტომ ოდენ შეგვიძლია ვივარაუდოთ: რასაც დაგპირდი, აუცილებლად შეგისრულებო — შესაძლოა, ესეც ეთქვა. და თუ რას დაპირდა პარაგვაელთა გიჟმაჟი მეკარე ესპანეთის ნაკრებს, კერძოდ კი იკერ კასილიასს, მოგეხსენებათ: კრულ ვიყო, პირადად მე ორი გოლი თუ არ გავიტანოო.

ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩილავერტს საზოგადოდ უყვარს დაპირებებისა და მუქარების უხვად ჩამორიგება. და განა მხოლოდ ფეხბურთის ამბავში?! მის სამშობლოში მინისტრი და ჩინოსანი არ დარჩენილა, რომ არ შემოლანძღვოდა. ჩვენი დაკვირვებით, ეს კაცი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში იყრის კენჭს და გაიმარჯვებს.

თამაში ნანახი გექნებათ, ყოველ შემთხვევაში ოქმს ჩახედავდით და შეამჩნევდით, რომ ჩილავერტს თავისი სიტყვა სანახევროდ არ შეუსრულებია, თუმცა ძალიან თუ მოვინდომებთ, ის პირველი გოლის თანაავტორად მაინც შეგვიძლია მივიჩნიოთ — ჩილავერტის მიერ მოედნის ცენტრიდან წამოწყებული იერიში კასილიასის მოგერიებულით და კარლეს პუიოლის ავტოგოლით დასრულდა. გოლი კი ისეთი იყო, მეტოქისთვის რომ გააქეთ — პუიოლმა ლონივრად მოიქნია ფეხი.

გოლს ესპანელთა ორი ეპიზოდი მოჰყვა, ჯერ ჩილავერტი შეცდა გამოსვლაზე, მერე კი იდეალურ პოზიციაში მყოფ დიეგო ტრისტანს რაულმა ვერ გაუხერხა პასი, ბურთი მცველს გაარტყა.

ერთი სიტყვით, გოლამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ცოტა ხანში დიეგო ტრისტანი შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ ჩილავერტმა ბოლო წამს ბურთი ფეხიდან აართვა, ხოლო პარაგვაელთა ყველაზე სახიფათო ეპიზოდი როკე სანტა კრუზის მიერ ბურთის ძელისთვის გარტყმით დასრულდა. იმ ეპიზოდში კასილიასი ტუტუცურად გამოვიდა კარიდან.

აღნიშნული და რამდენიმე აღუნიშნავი ეპიზოდის გათვალისწინებით, თამაშის საერთო სურათი გამოიკვეთა: ორივე მეკარე კარგ ნახტომებს უხეირო გამოსვლებს უნაცვლებდა, მცველები კი (მეტწილად პარაგვაელები) გვარიანად სცოდავდნენ. ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა — უფრო ხშირად ხომ ესპანელები უტევდნენ. და კიდევ, ევროპელთა თამაში დიდად არ განსხვავდებოდა იმისგან, რაც მათ სლოვენიასთან აჩვენეს.

ჰო, ჩილავერტმა პირველ ტაიმში ზედ მოედნის შუა ხაზიდან დაარტყა ჯარიმა, აბა, თავისი საჯარიმოს სიახლოვეს ესპანელები წესების დარღვევას ერიდებოდნენ და საიდანღაც ხომ უნდა დაერტყა.

მეორე ტაიმი ისევ ჩილავერტის ცენტრიდან დარტყმული ჯარიმით დაიწყო, მერე კი ამ დიდმა მეკარემ მორიგი შეცდომა დაუშვა — ბურთი ვერ დაიმორჩილა და ზედ კარის ხაზზე სახიფათო მომენტი შეიქმნა. კი, იქ თანამსაჯმა ალმის აღმართვით თამაში შეაჩერა და გოლი რომც გასულიყო, არ ჩაითვლებოდა, მაგრამ ჩილავერტის შეცდომა შეცდომად დარჩა და გოლიც მომწიფდა. და პედროს ჩაწოდებულ კუთხურს ფერნანდო მორიენტესმა თავი დაუხვედრა, მეკარე არც განძრეულა — 1:1. დავძინოთ, რომ სლოვენიასთან მატჩში მორიენტესი შეცვლაზე შევიდა და პენალტი მოინადირა, ახლაც იგივე შეცვლა და ისევ გოლი.

და მორიენტესის მეორე გოლიც: ისევ დე პედროს პასი, ჩილავერტის ბავშვური შეცდომა და მორიენტესმა ბურთი კარში მუცლით შეიტანა.

ამის შემდეგ ჩილავერტის მართლაც სახიფათო ჯარიმის ჯერი დადგა — დარტყმა ჩინებული, კასილიასის რეაქცია შესაშური და სანტა კრუზისთვის ნაჩვენები ყვითელი ბარათი. რატომ? ჩილავერტს უკან დაბრუნება რომ ვერ მოესწრო, სანტა კრუზმა ესპანელთა ჩაფიქრებულ სწრაფი კონტრიერიში გაფრთხილების ფასად ჩაშალა.

ბოლოს კი რაულის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა, რომელიც ფერნანდო იერომ გაიტანა. სათქმელია, რომ მაშინ, როცა ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა მეტოქის საჯარიმოში წაქცევის იოტისოდენა საბაბს ეძებს, რაული ბოლო წამამდე წონასწორობის შენარჩუნებას ლამობდა და დაცემამდე დარტყმაც მოახერხა.

ბოლოს კი აი, რა ვთქვათ: პარაგვაი მეორედ იგებდა თამაშს (სამხრეთ აფრიკასთან ორი ბურთის უპირატესობით) და მეორეჯერ დალონებული დარჩა. ჩეზარე მალდინის შეგირდებისთვის, ალბათ, რაღაცეების კარგად ახსნა დაავიწყდა, ისევე როგორც ბოლო ორი-სამი თვე თმის შეღებვა.

## ქორეა-იაპონია 2002
## B ჯგუფი. II ტური

## №22 ესპანეთი 3:1 პარაგვაი

7 ივნისი. ჯეონჯუ (კორეა). 14.00 „ჯეონჯუ უორლდ კაფ სთადიუმ". 24 000 მაყურებელი

0:1 პუიოლი (10ს.კ.), 1:1, 2:1 მორიენტესი (53, 69), 3:1 იერო (83პ)




შეცვლა: ლუის ენრიკე – 4. ელგერა (46), ტრისტანი – 9. მორიენტესი (46), კარდოზო – 11. ხორხე კამპოსი (63), კანისა – 6. სტრუვაი (78), ვალერონი – 19. ხავი (85)

გაფრთხილება: ბარახა (9), არსე (44), გავილანი (60), სანტა კრუზი (80)

მსაჯები: ჯამალ ღანდური (ეგვიპტე); ფარაგ ვაგიში (ეგვიპტე), ბრაიტონ მუდზამირი (ზიმბაბვე)

| | | |
|---|---|---|
| 11 | კარიმა | 12 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 16 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

## მატჩის შემდეგ

**ხოსე ანტონიო კამაჩო**
*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი*

რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. საკმაოდ ძლიერი დაცვის მქონე გუნდს სამი გოლი გავუტანეთ და მერვედფინალშიც ვადამდე ადრე გავედით. მატჩი ჩვენთვის უიღბლოდ დაიწყო, თუმც შესვენებაზე გადავეწყვეთ და საჭირო შედეგსაც მივაღწიეთ. ახლა სამხრეთ აფრიკასთან თამაშზე ვფიქრობ. ჩვენთვის უმთავრესი ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლაა. გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ ფერნანდო მორიენტესის გარდა. ის მართლაც ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში, თუმც სხვებმაც ძალიან კარგად ითამაშეს.

**ჩეზარე მალდინი**
*პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი*

პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ ავირიეთ და ორი უაზრო ბურთიც გავუშვით. თუმც ჩვენ იმ გუნდთან წავაგეთ, რომელსაც თავდასხმაში რაული და ფერნანდო მორიენტესი ჰყავს. რაც შეეხება ხოსე ლუის ჩილავერტს, მას უბრალოდ უიღბლო დღე ჰქონდა. ახლა სლოვენიასთან მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ. ეს ჩვენთვის გადამწყვეტი თამაშია.

## სტენოგრამა

**მე-5 წუთი:** ხოსე კარდოზოს თავური არ გამოუვიდა.

**მე-10 წუთი:** ფრანსისკო არსეს დარტყმული იკერ კასილიასმა მოიგერია, თუმც კარლეს პუიოლს ფეხზე მოხვდა და — 0:1.

**21-ე წუთი:** ორ მცველს შუა მოქცეულმა რაულმა მახვილი კუთხიდან კარისკენ დაარტყა და ააცილა.

**26-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს ლუის ენრიკემ თავი დაჰკრა, თუმც არაზუსტად.

**29-ე წუთი:** რაულმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა დიეგო ტრისტანი, მაგრამ ხოსე ლუის ჩილავერტმა იმარჯვა.

**31-ე წუთი:** რაულის სახიფათო დარტყმა კარს ასცდა.

**35-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილ როკე სანტა კრუზს ბურთი მცველმა ააცალა.

**41-ე წუთი:** რობერტო აკუნიამ ოდნავ ააცილა.

**49-ე წუთი:** ხავიერ დე პედროს საჯარიმოდან დარტყმული ხოსე ლუის ჩილავერტმა გააუვნებლა.

**53-ე წუთი:** ხავიერ დე პედრომ კუთხური ჩააწოდა. ფერნანდო მორიენტესმა ულამაზესი თავურით გაიტანა.

**64-ე წუთი:** როკე სანტა კრუზს ფერნანდო იერომ და იკერ კასილიასმა აართვეს ბურთი და სახიფათო მომენტიც ამით ამოიწურა.

**68-ე წუთი:** კარლოს გამარას გასროლილი ოდნავ ასცდა კარს.

**69-ე წუთი:** ხავიერ დე პედრომ საჯარიმოში ჩააწოდა, ხოსე ლუის ჩილავერტი გამოსვლაზე შეცდა და ფერნანდო მორიენტესმაც მეორედ დალაშქრა მეტოქის კარი.

**მე-80 წუთი:** ხოსე ლუის ჩილავერტის შესრულებულ საჯარიმო დარტყმას იკერ კასილიასი გაუმკლავდა.

**82-ე წუთი:** საჯარიმოში მყოფ რაულს კარლოს პარედესი ეუხეშა. პენალტი ფერნანდო იერომ ზუსტად შეასრულა.

**87-ე წუთი:** როკე სანტა კრუზის თავური კარს ასცდა.

**90-ე წუთი:** ფრანსისკო არსეს კუთხური პირდაპირ კარში ეშვებოდა, თუმც მეკარემ იყოჩაღა.



REUTERS

ნაჭრებზე ფიქრმა ჩეზარე მალდინის თმის შეღებვა დაავიწყა

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. II ტური

# №23 არგენტინა 0:1 ინგლისი

7 ივნისი. საპორო (იაპონია). 16:30 „საპორო დოუმ“. 35 927 მაყურებელი

0:1 ბექჰემი (44პ)

12 კავალიერო

მწვრთნელი
მარსელო ბიელსა

4 პოჩეტინიო — 6 სამუელი — 13 პლასენტე

14 სიმეონე

8 ხ. ძანეტი — 3 სორინი

11 ვერონი

10 ორტეგა — 18 კილი გონსალესი

9 ბატისტუტა

10 ოუენი

11 ჰესკი

8 სქოულზი — 21 ბათი — 7 ბექჰემი

18 ჰარგრივსი

3 ე. კოული — 6 კემპბელი — 5 ფერდინანდი — 2 მილსი

მწვრთნელი
სვენ გორან ერიქსონი

1 სიმენი

შეცვლა: ჰარგრივსი – 4. სინკლერი (19), ვერონი – 16. აიმარი (46), ჰესკი – 17. შერინგემი (56), ბატისტუტა – 19. კრესპო (60), კილი გონსალესი – 7. კ. ლოპესი (64), ოუენი – 14. ბრიჯი (80)

გაფრთხილება: ბატისტუტა (13), კოული (29), ჰესკი (50)

მსაჯები: პიერლუიჯი კოლინა (იტალია); ექტორ ვერგარა (კანადა), მოჰამედ საიდი (მალდივეთი)

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 20 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 3 | კარში დარტყმა | 6 |
| 6 | თამაშგარე | 2 |



დიეგო სიმეონეს და დევიდ ბექჰემს მატჩის წინ ხელის ჩამორთმევა იძულებით მოუხდათ

# არგენტინას არგენტინელი აკლდა
## როგორ დაამარცხა ერიქსონმა ერიქსონი

ბაჩუნა კიდია

აჟიოტაჟი თამაშს უხდება — ეს ფაქტია, ცხოვრებაა, ფეხბურთია, მაგრამ თუ ვინმე იტყვის, რომ აჟიოტაჟი თამაშს ამძიმებს, თავისებურად მართალი იქნება. ზოგადად, ინგლისს და არგენტინას ხელეწიფებათ მსოფლიოს უკეთესი სანახაობა შესთავაზონ, მაგრამ კონკრეტულად, 2002 წლის 7 ივნისს, როგორც ერთი, ისევე მეორე გუნდის ფეხბურთელებისთვის უფრო ლაღად თამაში შეუძლებელი იყო. თავად განსაჯეთ, ამ მატჩს წინ დიდი ფსიქოლოგიური თუ ემოციური ქარიშხალი უსწრებდა, პრესაში, ტელევიზიით, ქუჩებში თუ სხვა ნებისმიერ ადგილას. სადაც ადამიანები იკრიბებიან, იხსენებდნენ ფოლკლენდის კუნძულებს, „ღმერთის ხელს“ და ღვთაებრივ გოლს, გაძევებულ ბექჰემს და კემპბელის არჩათვლილ თავურს, ნიშნის მოგებებს და წლობით დაგროვილ ბოღმას, ხოლო ყოველივე ერთად „საპორო დოუმის“ ჭერით დაფარულ მინდორზე მოთამაშეებს დიდი სიფრთხილისკენ და თუ გნებავთ, წვრილმანი ჯარიმებისკენ უბიძგებდათ. და კიდევ: ორი დიდი გუნდიდან, შეუძლებელია სულ ერთი იგებდეს!

ამჯერად ინგლისმა მოიგო, რადგან არგენტინელთა ძლევის ჩაგუბებული სურვილი, ალბათ ძალიან მოსძალებოდათ, ვიდრე არგენტინელების ლტოლვა ბეჭებზე გაეკრათ ბრიტანელები. ყველამ ვნახეთ, როგორ დაარტყა დევიდ ბექჰემმა თერთმეტმეტრიანი — ღელავდა, ძალიან ღელავდა, მაგრამ თვალებში შიში არ ედგა. ეს იყო საკუთარ თავთან ჭიდილი იმ კაცისა, რომელსაც იმ წუთას თავისი მისიის მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდა.

ბექჰემმა შუაში დაარტყა, პაბლო კავალიერო კი მარჯვნივ გადაიხარა და გაუშვა. პენალტის გაშვებაში მეკარისთვის ბრალის დადება არ შეიძლება, თუ აიღებს, მადლობა უნდა უთხრა, ხოლო თუ ვერა — ხმა არ უნდა ამოიღო. ასეთია თერთმეტმეტრიანის ლოგიკა და მორალი. სხვა მხრივ, კავალიეროს სასაყვედურო თანაგუნდელებს ნამდვილად ვერაფერი ექნებათ, ხოლო ინგლისელები თავიანთ ასაკოვან გოლკიპერს, დევიდ სიმენს ძალიან თუ შეაქებენ და მისტერ-ით მიმართავენ, თორემ უმადურობა გამოუვათ — სიმენი გუშინ ბრიტანელებს გმირად და მხსნელად მოევლინა.

და ნუ იფიქრებთ, რომ ონსტატურად გავურბივართ პენალტის სამართლიანობაზე საუბარს. ეს მომენტი, გაზეთებისა რა მოგახსენოთ და, ტელევიზიებმა ბევრჯერ უნდა დაატრიალონ, რასაც პროფესიონალთა კომენტარების ზედ დართვით, ცხადია, გააკეთებენ კიდეც. ჩვენ კი რაც და როგორც ვნახეთ, იმაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ იტალიელი მსაჯი, პიერლუიჯი კოლინა მართალი იყო. პენალტი მხოლოდ განსაკუთრებული უხეშობის გამო ხომ არ ინიშნება, წესის თანახმად, ჩასასტვენად და თითის თეთრი წერტილისკენ გასაშვერად ჩვეულებრივი წესის დარღვევაც საკმარისია, პოჩეტინიომ კი ოუენს ფეხი გამოსდო, თუნდაც მსუბუქად, მაგრამ მაინც.

მსაჯობა, ზოგადადაც კარგი იყო. აბა, წარმოიდგინეთ ამ შეხვედრას ვინმე ისეთი რომ გაძღოლოდა, რთული შეხვედრების ხშირი სჯის გამოცდილება რომ არ აქვს. განა ამ ჩემპიონატზე ერთი ან ორი მაგალითის ხილვა მოვასწარით, სამშობლოში, შედარებით მარტივ თამაშებს მიჩვეული რეფერი ცალკეულ ეპიზოდებში რომ ვერ ერკვეოდა? კოლინამ კი ურთულეს შეხვედრას თავი ისე გაართვა, თვით გუნდებისგან საყვედური და ხელების შლაც რომ არ დაუმსახურებია. ერთადერთი, იქნებ ბატისტუტას გაფრთხილებაზე მოედავოს კაცი, თუმცა იქაც კონტექსტი იყო თავისებური: ეშლი კოულს ბურთი უკვე დარტყმული ჰქონდა, ხოლო „რომას“ ფორვარდს შეეძლო უსაგნო შეჯახება წამით ადრე გარიდებოდა. როგორც ჩანს, იტალიელმა მსაჯმა შემდგომში მსგავსი უსაგნო ანუ დაჯახების გამო დაჯახებისთვის თავის ასარიდებლად აღმართა ის ბარათი.



ბექჰემმა მსოფლიოს ინგლისი უჩვენა

როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, მეტოქეები თავიდან ძალიან ფრთხილად მოქმედებდნენ. გოლამდე თუ რაიმე მომენტი შეიქმნა, მხოლოდ ამა თუ იმ ფეხბურთელის წამიერი გაბრწყინების გამო — ვთქვათ ოუენმა ძელს გაარტყა ბურთი, ტაიმის მიწურულს კი ინგლისმა გოლი შეაგდო და შესვენების შემდეგ (ოღონდ ერთბაშად მაინც არა) თამაშის ხასიათი შეიცვალა. ევროპელებმა ზონები გადაკეტეს, სამხრეთამერიკელებმა კი შეუტიეს და მეტოქის საჯარიმოსთან თუ საჯარიმოში გვარიანადაც ატრიალეს ბურთი. და სწორედ აქ გვინდა ქების სიტყვები გამარჯვებულთა შვედი მწვრთნელისთვის, სვენ გორან ერიკსონისთვისაც გავიმეტოთ — ისეთ დაცვას, ინგლისის შესრულებით რომ ვიხილეთ, სწორედ თანამედროვე სქემებსა და დაზღვევებში გაწაფული (ბარემ დავძინოთ, სერია A-ში გამოცდილი) სპეციალისტი სჭირდებოდა. ყოველივეს დაამატეთ ისიც, რომ არგენტინელი ფეხბურთელების ერთი ჯგუფი — სორინი, კლაუდიო ლოპესი, სიმეონე, კრესპო, ვერონი — „ლაციოში“ სწორედ ერიქსონის განსწავლულები გახლავან, ანუ ინგლისელების გონიერი თავკაცი თავისი ყოფილი შეგირდების თვისებებს, ბუნებრივია, ზედმიწევნით იცნობდა და, ალბათ, ეს ცოდნა გამოიყენა კიდეც.

ბოლოს კი ნანახის შეჯამებისთვის ასე ვთქვათ: ინგლისმა გამართული და დამუხტული ფეხბურთის წყალობით გაიმარჯვა, ხოლო არგენტინას... თითქოს ვინმე, თუნდაც ერთი, ოღონდ არგენტინელი აკლდა, ამ სიტყვის ცოტა სხვანაირი გაგებით.



მაიკლ ოუენის ერთი დარტყმული ძელმაც აისხლიტა

## სტენოგრამა

**მე-6 წუთი:** გაბრიელ ბატისტუტას სახიფათო დარტყმული [illegible]ნმა ნახტომში მოიგერია.

**მე-8 წუთი:** კილი გონსალესის გასროლილი კარს ასცდა.

**მე-18 წუთი:** ოუენ ჰარგრივსის პასს მაიკლ ოუენი შეჰყვა, თუმც მცველებმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**24-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილი მაიკლ ოუენის სახიფათო დარტყმა ძელმა აისხლიტა.

**25-ე წუთი:** გაბრიელ ბატისტუტას თავური მეკარემ აიღო.

**31-ე წუთი:** კილი გონსალესის დარტყმული კარს ასცდა.

**44-ე წუთი:** მაურისიო პოჩეტინიომ საკუთარ საჯარიმოში მაიკლ ოუენი დასცა. დევიდ ბექჰემმა პენალტიდან იზეირა.

**47-ე წუთი:** პაბლო აიმარის 18 მეტრიდან დარტყმულს დევიდ სიმენი გაუმკლავდა.

**48-ე წუთი:** მაიკლ ოუენმა ხელსაყრელი პოზიციიდან ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**49-ე წუთი:** პოლ სქოულზის უძლიერესი დარტყმა მეკარემ უკუაგდო.

**55-ე წუთი:** დევიდ ბექჰემმა მიზანს ვერ უწია.

**67-ე წუთი:** ტრევორ სინკლერს მეკარემ აუღო.

**77-ე წუთი:** მაურისიო პოჩეტინიოს სახიფათო დარტყმულს მცველი გადაეფარა.

**86-ე წუთი:** ინგლისელთა კართან შექმნილი არეულობა კვლავაც მცველებმა განმუხტეს.

**90-ე წუთი:** ერნან კრესპოს აქტიურობამ შედეგი ვერ მოიტანა.

## მატჩის შემდეგ

### სვენ-გორან ერიკსონი
*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ჩინებულად ითამაშეს და ღირსეულად გავიმარჯვეთ. ბოლო თხუთმეტი წუთი კი „ჩავჯექით“, მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს. იმედი მაქვს, ძალები მომავალ შეხვედრაშიც გვეყოფა. ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმც ჯერ მოსალოცად ნუ იჩქარებთ. წინ ურთულესი მატჩი გველის. ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო მოვუმატებთ.

### მარსელო ბიელსა
*არგენტინის ნაკრების მწვრთნელი*

პირველ ტაიმში ძალიან დაბალ ტემპში ვითამაშეთ და საკმაოდ საეჭვო პენალტიც დაგვინიშნეს. მერე კი ავთამაშდით, მაგრამ ველარ გავათანაბრეთ. იღბალმა ზურგი შეგვაქცია.



მარსელო ბიელსა მთელი მატჩი ადგილს ვერ პოულობდა

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. II ტური

# №21 შვედეთი 2:1 ნიგერია

7 ივნისი. კობე (იაპონია). 11.30 „კობე ვინგ“. 36 194 მაყურებელი

0:1 აგაოვა (27), 1:1, 2:1 ლარსონი (35, 62პ)

Fotboll

მწვრთნელები ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

1 ჰედმანი

2 მელბერგი · 4 მიალბი · 15 იაკობსონი · 16 ლუციჩი

6 ლინდეროტი · 8 ა. სვენსონი

7 ალექსანდერსონი

9 ლიუნგბერგი

11 ლარსონი · 10 ოლბოკი

21 უტაკა · 9 ოგბეჩე

17 აგაოვა

15 კრისტოფერი · 2 იობო

10 ოკოჩა

3 ბაბაიარო · 5 ოკორონკვო · 6 ვესტი · 14 უდეზე

მწვრთნელი ადეგბოიე ონიგბინდე

1 შორუნმუ

შეცვლა: ოლბოკი – 22. ა. ანდერსონი (64), ბაბაიარო – 4. კანუ (66)
ოგბეჩე – 7. იკედია (71), ა.სვენსონი – 17. მ. სვენსონი (84)

გაფრთხილება: მიალბი (31), ალექსანდერსონი (70), ვესტი (80)

მსაჯები: რენე ორტუბე (ბოლივია);
მიგელ ჯაკომუცი (პარაგვაი), მეტ ლაზიმ ავანგ შამატი (მალაიზია)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 5 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 3 |



ტარიბო ვესტი მუნდიალს უსახელოდ დაემშვიდობა

# ნიგერიამ ვერ უტაკა

პაატა კვანტალიანი

ნიგერია მეორე გუნდი გახდა საუდის არაბეთის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატზე უმოტივაციოდ რომ დარჩა. თუკი საუდის არაბეთზე საზოგადოდ ბევრს არ დასწყვეტია გული, ნიგერიელთა მოსაკლისება ნამდვილად საწყენია. აფრიკელებს თავიდანვე არ გაუმართლათ, საფეხბურთო მონსტრების მხარდამხარ მოხვდნენ ჯგუფში. შედარებით იოლი ჯგუფი რომ რგებოდათ, ეგებ უფრო შორსაც წასულიყვნენ. ორი მატჩით ნიგერიელებმა საერთო ჯამში აჩვენეს ის ხიბლი, მეტ-ნაკლებად გამართულ აფრიკულ ფეხბურთს რომ ახასიათებს — საფეხბურთო ტექნიკასთან ბლომად შეზავებული ზანგური მოძრაობები, ეფექტური ფინტები, უკანმოუხედავი შეტევები, გოლი და მისით გამოწვეული სიხარულის გიჟმაჟური აღნიშვნა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნიგერიელებმა აფრიკული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თვისებაც მკვეთრად წარმოაჩინეს — ცუდი საფეხბურთო ორგანიზაცია, სათამაშო დისციპლინის ნაკლებობა, ეს პრობლემა იგივე შვედეთს 40-50 წლის წინათაც კი დაძლეული ჰქონდა და შავი კონტინენტის წარმომადგენლები საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას მანამ ვერ გაუგებენ გემოს, სანამ საფეხბურთო ქაოსს მწყობრი სათამაშო დისციპლინით არ შეცვლიან. სწორედ ამის გამო დააწყებინა ნაადრევად ბარგის ჩალაგება გუშინდელი მატჩის შემდეგ შვედეთმა ნიგერიას.

აფრიკელებს ჯგუფური ამბიციის დასაკმაყოფილებლად გუშინდელ მატჩში გამარჯვება სჭირდებოდათ, ისევე როგორც საარგენტინოდ გამზადებულ მათ მეტოქეს, ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ შეხვედრის დიდი დრო გუნდებმა ორმხრივ იერიშებში გალიეს. დაცვამოშიშვლებული, თავზეხელაღებული ბრძოლა გაჩაღდა პირველივე წუთიდან და სავსებით შესაძლებელი იყო, გუშინდელი მატჩის სამივე გოლი პირველ ხუთწუთეულში გასულიყო. პირველივე წუთზე ლიუნგბერგის პასით ლარსონს შეექმნა სახიფათო მომენტი. იქვე ოგბეჩემაც გაანიავა საგოლე შანსი, მერე კი კუთხურიდან ლიუნგბერგის დაკიდებულს მელბერგმა შეაგება გამართული მარჯვენა, მაგრამ ნიგერიელთა ბედად ბურთი ხარიხას გადასცდა.

მეტოქის მყისიერად მოგუდვის გეგმა შვედებს ჩაუფლავდათ და ნიგერიამაც დაიწყო იმის კეთება, რაც საამმატჩოდ ჰქონდა დაგეგმილი. აფრიკელებმა 7-წუთიან მონაკვეთში მეტოქე თავის ნახევარს არ მოაშორეს, ჯერ მარჯვენა ფლანგის ამკლებმა ოკოჩამ საჯარიმოში ბაბაიაროს დაასვა ბურთი, მაგრამ ამან თავისი ზედმეტად აფრიკული მოძრაობებით ყველაფერი წყალში ჩაყარა, მერე კი უდეზეს წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ოკოჩამ პირდაპირ კარისკენ გაისროლა მძლავრად, თუმცა არაზუსტად. შვედები მზად აღმოჩნდნენ ნიგერიელთა ამგვარი გამოხტომისთვის და მე-18 წუთზე მიალბის თავურის შემდეგ კრისტოფერმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. იქვე საუთჰემპტონელმა ანდერს სვენსონმაც გაიწია მეტოქის კარისკენ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ინიციატივას ისევ შვედები დაეუფლებოდნენ, მაგრამ ევროპელებს იობო გაეპარათ მარჯვენა ფლანგზე, ამის საჯარიმოში ჩაწოდებულს მეკარესა და ორ მცველს შორის ასხმარტალებულმა აგაოვამ დაჰკრა ეფექტურად თავი და შახტარელი ფორვარდი სიხარულისგან მალაყებით ლამის დონეცკამდე ჩავიდა.

ორგანიზებული შვედები არ გატყდნენ, ოლბოკის უნიათობის გამო ფლანგებზე მოხეტიალე მეგოლე ლარსონმა თავისი ადგილი მალე იპოვა და მარცხენა თეძოდაშავებული ლიუნგბერგის უნაკლო პასს ჯეროვანი გაგრძელება მიაყოლა — ლარსონმა მოგვიანებით წარბგაკვრილი ვესტიც გააცურა და მოძრაობაზე დაჭერილ შორუნმუსაც შანსი არ დაუტოვა.

ნიგერია გვარიანად გატეხა შვედების გამთანაბრებელმა გოლმა. აფრიკელებს ბაბაიაროს შემცვლელმა კანუმაც ვერ უშველა, მატჩის ბოლო წუთზე მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას ოსტატურად რომ ცდილობდა და გამოცდილი მიალბის მიერ შეკრულ დაცვას ახალგაზრდა უტაკამაც ვერაფერი დააკლო, არადა, ამ ბიჭს კანუს მომენტამდე ნიგერიელთათვის იმედის გაჩენა შეეძლო, მაგრამ მეკარის მომტყუებელმა კარის ხაზზე ჩასაფრებულ მიალბის ვერაფერი მოუხერხა. აქამდე ლარსონს თავისსავე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გატანილი ჰქონდა.



ბართოლომეო ოგბეჩემ (№9) და სელესტინ ბაბაიარომ ნაყლის ალექსანდერსონი მაინც ვერ გააჩულიტეს •

# მატჩის შემდეგ

### ლარს ლაგერბეკი
*შვედეთის ნაკრების თანამწვრთნელი*

დღეს ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. მართალია, დაცვაში რამდენიმე უხეში შეცდომაც დავუშვით, თუმც ვფიქრობ მაინც დამსახურებულად გავიმარჯვეთ. განსაკუთრებით ჰენრიკ ლარსონს გამოვარჩევ. ის ორი გატანილი გოლის გარდა შავი სამუშაოს შესრულებითაც დიდად დაგვეხმარა. ნიგერიელები ძალიან ტექნიკურები და ინდივიდუალურად ძლიერები არიან, მაგრამ დაცვაში ბევრი პრობლემა აქვთ. ახლა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ არგენტინასთან უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ძალა. დარწმუნებული იყავით, რომ არგენტინელებს ძალიან გაუჭირდებათ იმ მატჩში.

### ადეგბოიე ონიგბინდე
*ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი*

ადრე ვამბობდი, რომ არგენტინა შვედეთზე გაცილებით ძლიერია-მეთქი, მაგრამ დღეს აზრი შემეცვალა. ორივე თანაბარი დონის გუნდია. ისე გამოვიდა, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი აღარ გვაქვს, მაგრამ ინგლისელებთან „კარის გაჯახუნებას“ ვეცდებით.

# სტენოგრამა

**პირველი წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა ჰენრიკ ლარსონს გადააწოდა, რომლის დარტყმულიც არაზუსტი გამოდგა.

**მე-2 წუთი:** ჰენრიკ ლარსონის გასროლილს მცველი გადაეღობა. კუთხურიდან ჩაწოდებულს კი ოლოფ მელბერგის თავური მოჰყვა. ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

**მე-9 წუთი:** მაგნუს სვენსონმა ოდნავ ააცილა.

**მე-12 წუთი:** აუგუსტინ ოკოჩამ საჯარიმოში ჩააწოდა, თუმც სელესტინ ბაბაიაროს მაგნუს ჰედმანმა აჯობა.

**მე-17 წუთი:** აუგუსტინ ოკოჩას საჯარიმოდან დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**მე-20 წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს იოჰან მიალბიმ დაჰკრა თავი. კრისტოფერ ქიუსტიჩმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**27-ე წუთი:** ჟოზეფ იობომ საჯარიმოში ჩააწოდა. ჯულიუს აგაოვამ მცველს და მეკარეს დაასწრო და თავით დალამქრა შვედთა კარი. გოლის აღმნიშვნელი ტრიუკების კასკადი კი ერთ რამედ ღირდა.

**35-ე წუთი:** ფრედერიკ ლიუნგბერგმა ჰენრიკ ლარსონს უპასა, რომელმაც კარგად ჩამოიშორა ორი მცველი, საჯარიმოში შესულმა ტარიბო ვესტიც ზედ მიაყოლა და მარჯვენა კუთხეში ჩასვა ბურთი.

**38-ე წუთი:** აუგუსტინ ოკოჩას დარტყმული გზად დაბნეულ ლუციჩ-მიალბის წყვილს მოხვდა და... ძელი მოიკითხა.

**მე-40 წუთი:** ჯულიუს აგაოვამ თავით ჟოზეფ იობოს დაუგდო, რომლის გასროლილიც არაზუსტი გამოდგა.

**46-ე წუთი:** ბართოლომეო ოგბეჩეს სახიფათო დარტყმა მცირედით ასცდა კარს.

**63-ე წუთი:** საჯარიმოში ჰენრიკ ლარსონს ეუხეშნენ და მსაჯმა პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. თავად ლარსონმა დუბლი გააკეთა — 2:1.

**72-ე წუთი:** ტარიბო ვესტის თავური კარს ასცდა.

**74-ე წუთი:** ჰენრიკ ლარსონი მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმც შეყოვნდა და რეალური მომენტი გაანიავა.

**82-ე წუთი:** აუგუსტინ ოკოჩამ ჯონ უტაკა პირისპირ გაიყვანა. უტაკამ მეკარე მოატყუა და კარშიც დაარტყა, მაგრამ მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**90-ე წუთი:** საჯარიმოში შესული ნვანკვო კანუ თავზე უგდებდა ბურთს მეკარეს, მაგრამ ჰედმანმა იყოჩაღა.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ნიგერია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. II ტური. B ჯგუფი. №24

## ს. აფრიკა — სლოვენია

დღეს. დეგუ (კორეა). „დეგუ უორლდ კაფ სთედიუმ". 11.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| არენდსე, ნზამა, კარნელი, ა. მოკოენა, ისა, რადებე, სიბაია, ფორჩუნი, ტ. მოკოენა, ზუმა, მაკკარტი | სიმეუნოვიჩი, კნავსი, გალიჩი, მილინოვიჩი, კარიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, პავლინი, რუდონია, აჩიმოვიჩი, ოსტერცი |
| მწვრთნელი: იომო სონო | მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი |

მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)

# სონო მერვედფინალისკენ ჭურიდან იყურება




იომო სონომ ზაჰოვიჩის გაგდების ამბავი შემთხვევით გაიგო

**მოკლედ** გავიხსენოთ: ზლატკო ზაჰოვიჩმა, ვისაც დღეისთვის საუკეთესო სლოვენიელ ფეხბურთელად მიიჩნევენ, მწვრთნელ სრეჩკო კატანეცს ისეთები უთხრა, ნაკრებიდან თავი გააგდებინა. იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამაც კატანეცის მხარე დაიჭირა, ნალდად გასაგდები იყო.

და რის გამო მოხდა ჩხუბი? ზაჰოვიჩი მწვრთნელს აუხირდა, როგორ გაბედე ესპანეთთან მატჩში ჩემი შეცვლაო. მოგეხსენებათ, მწვრთნელს როცა უნდა და ვისაც უნდა შეცვლის. სხვა რომ არაფერი, შედეგისთვის პასუხს ყოველთვის მას სთხოვენ და ფეხბურთელთა შერჩევის უფლებაც თუ ჩამოერთვა, კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მით უმეტეს, რომ ესპანეთ — სლოვენიის მატჩი თუ ნახეთ, შენიშნავდით... უფრო სწორად, ზლატკო ზაჰოვიჩს სწორედ რომ ვერ შენიშნავდით, გინდ ყოფილიყო მოედანზე, გინდ არა. ჰოდა, რა გასაკვირია, კატანეცმა, სხვათა შორის, თავის დროზე ზაჰოვიჩზე დიდმა ფეხბურთელმა, 63-ე წუთზე ბენფიკელი აჩიმოვიჩით რომ შეცვალა.

ერთი სიტყვით, დღეს სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ სლოვენიელები უზაჰოვიჩოდ გავლენ და ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ეს დიდი დანაკლისი არც უნდა იყოს. ამავე მიზეზით, გვეჩვენება, რომ როი კინის გაგდება ირლანდიელთათვის ბევრად სერიოზული დანაკლისია.

იმის შეხსენება თუ როგორ მივიდა დღევანდელ მატჩამდე სამხრეთ აფრიკის ნაკრები, უადგილოდ გვეჩვენება, მხოლოდ ერთი საინტერესო ფაქტი აღვნიშნოთ — პირველ ტურში, წამატებულ დროში პარაგვაელთათვის გატანილი პენალტი კვინტინ ფორჩუნისთვის პირველი სანაკრებო გოლი იყო, არადა, ამ ფეხბურთელს ორმოცი სანაკრებო კეპი აქვს.

აფრიკელებთან, მეტოქისგან განსხვავებით მატებაა — შუა კვირაში დაშავდა და უცბათვე მომჯობინდა ძირითადი მეკარე ანდრე არენდსე. ასევე მწყობრშია, ახმახი მცველი პიერ ისა, ვინაც პარაგვაისთან პირველი ტურის მატჩში როკე სანტა კრუზთან შეჯახებისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. აფრიკელთა მწვრთნელმა იომო სონომ მასზე თქვა, ასი პროცენტით რომც არ მომჯობინებულიყო, მაინც ვათამაშებდიო. შეტევაში კი სონომ შესაძლოა, პირველ ტურში უთამაშებელი სიაბონგა ნომვეტე გამოსცადოს, რაკილა ვარჯიშებისას მისი და ბენი მაკკარტის შეხმატკბილებული თამაშით მოხიბლულა. სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში ასევე არ წერია მაკდონალდ მუკანსი, მაგრამ არც მისი გამოჩენა (თუნდაც შეცვლაზე) იქნება გასაკვირი.

და ისევ ზაჰოვიჩზე. გუშინ ჟურნალისტებმა სონოს სლოვენიელის მოკვეთაზე რომ ჩამოუგდეს სიტყვა, მწვრთნელს მხრები აუჩეჩია და პირი დაუღია, რას ამბობთ, პირველად მესმის ეს ამბავიო. არადა, ზაჰოვიჩი მუნდიალიდან 24 საათის გაგდებული იყო. ეს რა კარგი ამბავი მითხარითო — დასძინა აფრიკელმა — ჩვენს ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური ტვირთი მოეხსნებათო.

ბოლოს კი, რადგან ამ მატჩს ესპანეთ — პარაგვაის მეორე ტურის შეხვედრა უძღოდა, ცხრილის გადახედვაც არ უნდა იყოს უსარგებლო საქმე.

გამარჯვების შემთხვევაში, სამხრეთ აფრიკა ფაქტობრივად გაინაღდებს მერვედფინალში გასვლას, რადგან ბოლო ტურში უკვე მერვედფინალისტ ესპანეთს ხვდება და რომც წააგოს, შანსს მაინც ინარჩუნებს — თუ პარაგვაი სლოვენიელებს დიდი ანგარიშით ვერ დაამარცხებს ჯგუფიდან აფრიკელები გავლენ.

**გიორგი დარჯანია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. II ტური. D ჯგუფი. №26

## ბრაზილია — ჩინეთი

დღეს. სეოგვიპო (კორეა). „სეოგვიპო ჯეი უორლდ კაფ სთედიუმ". 16.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მარკოსი, ლუსიო, ანდერსონ პოლგა, როკე ჟუნიორი, კაფუ, ჟილბერტო სილვა, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო, რივალდო, რონალდო, რონალდინიო | ჯინი, ენპუა, ვეიფენგი, ჩენგიანგი, იუნლონგი, ხაოპენგი, პონგი, ტიე, მინგიუ, პაიდონგი, ჩენ-იანგი |
| მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი | მწვრთნელი: ბორა მილუტინოვიჩი |

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

# რივალდოს სკოლაში არ უვლია? ჯერ ერთი და სხვა მრავალი



ბორა მილუტინოვიჩს ჩინეთი ბრაზილიურ სკოლაში მიჰყავს

**რონალდო** თავს მხნედ და ნდლად გრძნობს, რათა თურქეთთან შეგდებულ გოლს დღეს ჩინეთთან კიდევ მიუმატოს — სააგენტო „როიტერის" თვალთახედვით ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია ბრაზილიელთა ბანაკში.

ხოლო ჩინეთი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თავისი სადებიუტო მატჩი წააგო კოსტა რიკასთან, ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს — ფან ჟი და სუნ ჟიხაი სწორედ ლათინოამერიკელებთან შეხვედრაში დაშავდნენ.

რონალდოს დავუბრუნდეთ, რომელიც თურქებს ყველაზე მწარედ ჩხვლეტდა მთელი 73 წუთი, სანამ შეცვლიდნენ.

— თურქეთთან ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შემიძლია ბევრად მოვუმატო, ვიცი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ — ასე თვლის რონალდო და დასძენს — თეორიულად, ჩინეთთან იოლი თამაში გველის, მაგრამ იძულებულნი ვართ, სათანადოდ განვეწყოთ ადვილი მატჩისთვის. კარგად უნდა ვითამაშოთ, რათა სირთულეების გარეშე მოვიგოთ.

საერთოდ, ბრაზილიელი ფეხბურთელები იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ ჩინეთს გოლებით ამოქოლავენ. ამასთან დაკავშირებით თავისი ნააზრევი გადმოაფრქვია ბრაზილიელთა კაპიტანმა კაფუმ: „თუ 1:0 გავიმარჯვებთ, ბრწყინვალე შედეგი იქნება ჩვენთვის, რადგან სამ ქულას ავიღებთ და ჯგუფიდან გასასვლელად დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. ხოლო თუ ოთხ გოლს გავიტანთ, ხომ მთლად უკეთესი, მაგრამ ჯერ ერთი უნდა გავიტანოთ, ოთხამდე რომ ავიდეთ".



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რონალდოს დრო დაუნიშნა

სახელდაგდებული ბორა მილუტინოვიჩისთვის ეს მეოთხე მუნდიალია და ჩინეთი მისთვის მეორე ქვეყანაა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ათამაშებს. მილუტინოვიჩის საამატჩო რიტორიკა კი ასეთი გახლავთ: „ასეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ გაათკეცებული ძალით უნდა ვიბრძოლოთ, რათა მოწინააღმდეგეს ბურთის კონტროლში ხელი შევუშალოთ. მაგრამ, ამავე დროს, ბრაზილიასთან თამაში ჩვენთვის ერთი სიამოვნებაა. ჩვენ უფრო უნარიანები ვიქნებით და რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა დავდგეთ".

ბარემ რივალდოზეც ვთქვათ, რომელმაც სიმულიანტობით შეირცხვინა თავი თურქეთთან მატჩში და ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა 7350 დოლარით დასაჯა. უნდა გახსოვდეთ, თურქმა ჰაკან უნსალმა კუთხურის ჩასაწოდებლად შემართულ რივალდოს ბურთი ფეხში გაარტყა, ბრაზილიელმა კი ხელები სახეზე აიფარა და მინდორზე განერთხო.

„ძალზე სამწუხაროა, მსოფლიო დონის ფეხბურთელი ასეთ რამეებს რომ იკადრისებს. მსაჯს არ შეეძლო ეს ეპიზოდი შეემჩნია, მაგრამ ვიდეოჩანაწერით ხომ ყველაფერი კარგად გამოჩნდა. თუ რივალდო ასე გააგრძელებს, ფიფა მას გაცილებით მკაცრ სასჯელს დაუწესებს" — დაიქადნა ფიფას სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე მარსელ მატიე.

რივალდომ კი თქვა, ამ ინციდენტთან დაკავშირებით არ ვწუხვარო და დასძინა: „უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ეპიზოდი მატჩის მიწურულს იყო, როცა სერიოზულად არავინ ფიქრობს, თუ რას აკეთებს. ყოველივე უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ვეცდები, ეს შემდგომში აღარ გავიმეორო. მართალია, ბურთი სახეში არ მომხვედრია, მაგრამ ეს ინციდენტი არც მე არ წამომიწყია".

ერთი სიტყვით, ნუ განიკითხავთ რივალდოს, მას ხომ წესიერად სკოლაშიც არ უვლია...

**დავით თავართქილაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## კორეა-იაპონია 2002
### ანონსი. II ტური. C ჯგუფი. №25

## იტალია — ხორვატია

დღეს. იბარაკი (იაპონია). „იბარაკი კაშიმა სოკერ". 14.00

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, პანუჩი, ტომაზი, დი ბიაჯო, ძამბროტა, ტოტი, ვიერი, ინძაგი | პლეტიკოშა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, სიმუნიჩი, იარნი, ტომაში, სოლდო, ნ. კოვაჩი, პროსინეჩკი, შუკერი, ბოკშიჩი |
| მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი | მწვრთნელი: მირკო იოზიჩი |

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

# ინძაგიმ ტოტის ზურგი უჩვენა



ტრაპატონი მხცოვანი კაცია, ხორვატთაგან რვა წლის წინანდელი წყენა ახსოვს

**პირველ ტურში** ეკვადორთან ნავარჯიშევ იტალიას დღეს ჩინებული შანსი აქვს, მერვედფინალის საგზური ვადამდე დაიბევოს. ამის შესაძლებლობას ტრაპატონის ბიჭებს ხორვატების დამარცხება მისცემს. თავის მხრივ „წიწაკებთან" წაზდენილ მებრძოლ ხორვატებს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ. მათდა სამწუხაროდ, მერვედფინალის გზა იტალიაზე გადის.

იტალია დღეს შეტევის იშტაზე იქნება, რაკიღა მუხლმორჩენილი ინძაგი ვიერის შეუწყვილდება, ამ ორს კი ზურგს ტოტი გაუმაგრებს. ეს ფეხბურთელი რომ ჩინებულ ფორმაშია, ეკვადორთან მატჩმაც ცხადყო და ტრაპატონის სიტყვებიც ადასტურებს. ტოტი შეუდარებლად სასარგებლოაო, თქვა დონ ტრაპიმ. არანაკლებ ეფექტურია კრისტიან ვიერიც. და საერთოდ, ეს ფეხბურთელი მუდამ შემართული ხვდება მსოფლიოს ჩემპიონატს. გავიხსენოთ, რომ წინა ჩემპიონატზე, ვიერიმ ხუთ მატჩში ხუთჯერ გაიტანა და თავის სამუნდიალო მონაგარს ეკვადორთან ორი გოლიც შემატა. იტალიელებს დაცვაშიც დალხინებულად აქვთ საქმე — სამსოფლიოჩემპიონატო ბოლო 20 მატჩში „სკუადრა ატურამ" მხოლოდ 10 გოლი გაუშვა.

ინძაგის გამოჯანმრთელებამ ტაქტიკური გადაადგილებისკენ უბიძგა ტრაპატონის. კრისტიანო დონი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს კი კრისტიან პანუჩი გააკონტროლებს. თავად ტრაპატონი იმედიანადაა, ჩინებული გუნდი გვყავს და დიდი მიზნებიც გვაქვს კორეა-იაპონიაშიო, მაგრამ მოახლოებულ მატჩს მაინც სიფრთხილით უყურებს: „ხორვატები გამწარებულნი არიან მექსიკასთან გაუთვალისწინებელი მარცხით და ჩვენთან ბოლომდე დაიხარჯებიან".

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ხორვატია ამ ქვეჯგუფში ერთადერთი გუნდია, იტალია რომ დაუმარცხებია — 1994 წელს პალერმოში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 2:0-ით ბეჭებზე გააკრეს ფავორიტი მასპინძლები. ცხადია, ეს ტრაპატონისაც ახსოვს და ამბობს: „ისინი შეეცდებიან, 8 წლის წინანდელი წარმატება გაიმეორონ. ჩვენც და თავიანთ გულშემატკივრებსაც დაუმტკიცონ, რომ ჯგუფში ჩარჩენას არ იმსახურებენ. ვფიქრობ, სანახაობრივი, თვალსასეირო მატჩი იქნება, რაკიღა მებრძოლ, ტექნიკურ გუნდს ვეთამაშებით".

ხორვატების ბანაკშიც შევიხედოთ, წინა მატჩში გაძევებული ბორის ჟივკოვიჩს რომ მოისაკლისებენ დღეს. დისკვალიფიცირებული ჟივკოვიჩის ადგილს დარიო შიმიჩი დაიკავებს. წვივის ტრავმით განატანჯ მცველს კარგი შანსი ეძლევა, სანაკრებო ძირითადში თავისი ადგილი დაიბრუნოს. მიუხედავად წინა მატჩის ჩაგდებისა, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ რობერტ პროსინეჩკი, ალენ ბოკშიჩი და დავორ შუკერი. მგონი, მიზეზი ყველასთვის ნათელია — ამათზე უკეთესი ფეხბურთელები ხორვატებს არ ჰყავთ.

„უძლიერეს მეტოქეს ვხვდებით, მაგრამ ახლა ნამდვილად არაა ფარ-ხმლის ჩამოყრის დრო. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ თავაწეულებმა დავტოვოთ მოედანი" — შუკერის წინასამატჩო კომენტარი ოპტიმიზმს მოკლებული ნამდვილად არ არის. ვნახოთ...

**ბაადურ** **ბაატა ძმანტალიანი**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |



ვიერი და ინძაგი მეტოქის საჯარიმოში შეწყვილდებიან

## იუბილარი



**მიროსლავ კლოზე**
**(გერმანია) 9.06.78**

**მსოფლიოს ჩემპიონატის** ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირმა, გერმანელმა მიროსლავ კლოზემ მარჯვენა მუხლი იტკინა და შესაძლოა, კამერუნთან ჯგუფის ბოლო მატჩი გამოტოვოს: „მირომ (მიროსლავმა) მცირე ტრავმა მიიღო და დღეს არ ივარჯიშა, საერთო ჯგუფში წვრთნას შაბათს ან კვირას განაახლებს" — თქვა რუდი ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბემ.

„ახალი ენერგია" — ასეთი სათაურით გამოვიდა ამ კვირის „კიკერი", ლაპარაკი, ცხადია, კლოზეზეა, ვინც ჩემპიონატის ორ მატჩში, საუდეთთან და ირლანდიასთან, ოთხი გოლი გაიტანა და მეგოლეთა დავასაც თავკაცობს. „კიკერისვე" ინტერაქტიული გამოკითხვის თანახმად, გერმანელ გულშემატკივართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კაიზერსლაუტერნელი ფორვარდი ბომბარდირობას ტურნირის ბოლომდე შეინარჩუნებს.

პოლონურ ოპოლში დაბადებული კლოზე ცხრა წლის იყო, როცა მისი ოჯახი გერმანიაში გადასახლდა. მშობლებიც ძველი სპორტსმენები ჰყოლია, დედა — ბარბარა ხელბურთელი, ხოლო მამა იოზეფი — ფეხბურთელი. კლოზე თავიდან „ბლაუბახ-დიდელკოპფში" თამაშობდა, მერე ერთი სეზონი „ჰამბურგში" დაჰყო და 1999 წლიდან „ლაუტერნის" წევრი გახდა. ეროვნულ გუნდში პირველად შარშან 24 მარტს გამოჩნდა ალბანეთთან შესარჩევ მატჩში და ბოლოსკენ გამარჯვებისაც გაიტანა. მის ნიჭზე კი სერიოზულად წლეულს თებერვალში ალაპარაკდნენ, როცა ისრაელს 13 წუთში ჰეთ-თრიქი შეუსრულა.

დღეისთვის კლოზეს ბუნდესნაკრების 14 შეხვედრაში 12 გოლი აქვს გატანილი — მართლაც ფანტასტიკური შედეგია. არადა, თავის დროზე, კინაღამ პოლონეთის ეროვნულ გუნდშიც აღმოჩნდა, მაგრამ ისტორიულ სამშობლოს მაინც გერმანია ამჯობინა, რადგან როგორც თავად ამბობს, „გულით გერმანელია".

## სადღეისო ვითარება

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 4 | მიროსლავ კლოზე | (გერმანია) |
| 3 | იონ დალ ტომასონი | (დანია) |
| 2 | კრისტიან ვიერი | (იტალია) |
| | ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) |
| | ფერნანდო მორიენტესი | (ესპანეთი) |
| | ფერნანდო იერო | (ესპანეთი) |

### ავტოგოლი

| | |
|---|---|
| 1 ესტანისლაო სტრუგაი | (პარაგვაი) |
| ჟორჟე კოშტა | (პორტუგალია) |
| ჯეფ აგოსი | (აშშ) |
| კარლეს ბუიოლი | (ესპანეთი) |

### წითელი ბარათი

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია)
ალფაი ოზალანი (თურქეთი)
ჰაქან უნსალი (თურქეთი)
სალიფ დიაო (სენეგალი)
ტიერი ანრი (საფრანგეთი)

### ყვითელი ბარათი

**2 — ჰაქან უნსალი (თურქეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი)**

**1 — ალიუ სისე (სენეგალი), იან ჰაინცე (დანია), მარტინ ლაურსენი (დანია), გუსტავო მენდესი (ურუგვაი), რაიმონ კალა (კამერუნი), ჯეისონ მაკატირი (ირლანდია), სტივ ფინანი (ირლანდია), სტივენ რიდი (ირლანდია), კრისტიან ციგე (გერმანია), დიტმარ ჰამანი (გერმანია), მოჰამედ ნოორი (საუდეთი), ვალტერ სამუელი (არგენტინა), დიეგო სიმეონე (არგენტინა), სოლ კემპბელი (ინგლისი), ეფე სოდჯე (ნიგერია), მარკუს ოლბოკი (შვედეთი), ანდრეას იაკობსონი (შვედეთი), ხულიო კარლოს კასერესი (პარაგვაი), დენის კანისა (პარაგვაი), რიკარდო ტავარელი (პარაგვაი), ხუან კარლოს ფრანკო (პარაგვაი), აარონ მოკოენა (სამხრეთ აფრიკა), პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა), ბენი მაკკარტი (სამხრეთ აფრიკა), სიბუსისო ზუმა (სამხრეთ აფრიკა), ხუან კარლოს ვალერონი (ესპანეთი), ამირ კარიჩი (სლოვენია), სებასტიან ციმეროტიჩი (სლოვენია), დენილსონი (ბრაზილია), ალფაი ოზალანი (თურქეთი), ფათიჰ აკიელი (თურქეთი), ფაბიო კანავარო (იტალია), აუგუსტო პოროსო (ეკვადორი), ულისეს დე ლა კრუზი (ეკვადორი), კლებერ კალა (ეკვადორი), ლუის მარინი (კოსტა რიკა), მაურისიო სოლისი (კოსტა რიკა), რონალდ გომესი (კოსტა რიკა), ვალტერ სენტენო (კოსტა რიკა), ლი ტიე (ჩინეთი), ხუი იუნლონგი (ჩინეთი), ლი ხაოპენგი (ჩინეთი), კაზუიუკი ტოდა (იაპონია), იუნიჩი ინამოტო (იაპონია), პეტერ ვან დერ ჰიდენი (ბელგია), გერტ ვერჰეიენი (ბელგია), ჯეკი პეეტერსი (ბელგია), ერიკ ვან მეირი (ბელგია), ჯი-სუნგ პარკი (ს. კორეა), დოო-რი ჩა (ს. კორეა), იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი), ტომაშ ჰაიტო (პოლონეთი), პიოტრ სვიერჩევსკი (პოლონეთი), იგორ სემშოვი (რუსეთი), დმიტრი ალენიჩევი (რუსეთი), ჰასან გაბსი (ტუნისი), ზიად ჯაზირი (ტუნისი), დამარკუს ბესლი (აშშ), ბეტუ სევერუ (პორტუგალია), არმანდუ პეტი (პორტუგალია), ებე სანდი (დანია), იონ დალ ტომასონი (დანია), თომას ჰელვეგი (დანია), კრისტიან პოულსენი (დანია), ხალილუ ფადიგა (სენეგალი), სალიფ დიაო (სენეგალი), პიერ ვომე (კამერუნი), ალ-ჰასან ალ-იამი (საუდეთი), პაბლო გარსია (ურუგვაი), სებასტიან აბრეუ (ურუგვაი), მარსელო რომერო (ურუგვაი), დარიო სილვა (ურუგვაი), იოჰან მიალბი (შვედეთი), ნიკლას ალექსანდერსონი (შვედეთი), ტარიბო ვესტი (ნიგერია), რუბენ ბარახა (ესპანეთი), ფრანსისკო არსე (პარაგვაი), დიეგო გავილანი (პარაგვაი), როკე სანტა კრუზი (პარაგვაი), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), ეშლი კოული (ინგლისი), ემილ ჰესკი (ინგლისი)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი მეტროში: მოდი, გამიკეთე მასაჟი

## რუსეთი და ტუნისი გამოთაყვანდნენ



კორეელები ყველაფერს ითვლიან: მთვრალებმა ერთმანეთს რამე არ აწყინონ, ჭიქები პლასტმასისა აქვთ

ემზარ ზენაიშვილი
საგანგებოდ „სარბიელისთვის"
სეულიდან



**მსოფლიოს ჩემპიონატის** კორეელმა ორგანიზატორებმა გუშინ ჟურნალისტებს ლუდი და ღვინო უფასოდ შემოგვთავაზეს, მხოლოდ საღამოს 8-დან 10 საათამდე. აქ ყველაფრის ჩარჩოებში მოქცევა იციან, ყველაფერს ითვლიან...

გამასპინძლების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სამხრეთ კორეაში უქმობდნენ — სამშობლოსათვის ომში დაღუპულთა დღეს აღნიშნავდნენ. კორეელებს ხომ არც ომი აკლდათ, არც ოკუპაცია, არც აჯანყებები, არც მასობრივი გაფიცვები და გამოსვლები, პრეზიდენტის მკვლელობაც კი. მხოლოდ ნახევარი საუკუნეა, რაც დამოუკიდებლობა იზეიმეს, ქვეყანა ფეხზე დააყენეს და დღეს მსოფლიოში ეკონომიკური თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ.

აქ მიაჩნიათ, რომ წინსვლის განმსაზღვრელი ფაქტორი დინამიზმია და ის, რომ მათ შეძლეს, ტრადიციებისა და მოდერნის ოპტიმალურად შერწყმა. სხვას რომ თავი დავანებოთ, სამხრეთ კორეის სიძლიერეზე და მის საერთაშორისო ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ კორეამ უკვე უმასპინძლა აზიურ თამაშებს, ზაფხულის ოლიმპიადას, ევროპა-აზიის ქვეყნების სამიტს (სხვათა შორის, სწორედ იმ დარბაზში, ამჟამად რომ პრეს-ცენტრია განთავსებული) და კიდევ ერთი ფაქტი: კორეელები უსწრებენ ამერიკელებსაც და იაპონელებსაც ყოველ ათას კაცზე ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის მაჩვენებლით.

და მართლაც, სეულელთა მუდმივი ატრიბუტია ყურებში გაჩხერილი მუსიკალური აპარატი და მკერდზე ჩამოკონწიალებული მობილური ტელეფონი. თვალში საცემია, რომ ბევრი ახალგაზრდა ატარებს სათვალეს (არამზისგან დასაცავად), მძღოლები — ხელთათმანებს, ბევრი ქალაქელი პირბადეს — სუფთა ჰაერი რომ ჩაისუნთქოს (თუმცა მათი რიცხვი იაპონიაში გაცილებით მეტია) და კიდევ ერთი — შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად შეინიშნება მასიური გატაცება მასაჟით. ტელევიზიით მუდმივად ამაზეა ლაპარაკი და ინსტრუქტაჟები, კორეელები მასაჟს უკეთებენ ერთმანეთს ავტობუსსა თუ მეტროში, მოსაცდელ ადგილებში, ქუჩაში. მასობრივი თავშეყრის ადგილებში გამოყოფილია სპეციალური ადგილები, დამონტაჟებულია სათანადო ტექნიკა... პრესცენტრშიცაა ასეთი სერვისი, კარგა მოზრდილი რიგიც დგას. რაღა დაგიმალოთ და ამ მომსახურებით მეც ვისარგებლე.

საერთოდ, კორეელები ძალზე სპორტული ხალხია. დღეს ქვეყნის 15 წლის ასაკს ზემოთ მოსახლეობის 40 პროცენტი სპორტის რომელიმე სახეობაში რეგულარულად ვარჯიშობს. მხოლოდ ბოლო ხუთი წლის მანძილზე აშენდა 165 სტადიონი. გაიხსნა 34 სპეციალიზირებული სპორტული გიმნაზია, სამი ათასამდე სპორტული არენა და ბაზები.

...ადგილობრივ პრესაში გრძელდება კორეელთა გუნდის ქება-დიდება. ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კორეელებმა იხსნეს აზიური ფეხბურთის იმიჯი. „ამერიკელთა გუნდი არაა ისე ძლიერი, ჩვენ რომ ვერ მოვუგოთ. მხოლოდ გამარჯვება!" — მოუწოდებს სპორტსმენებს „კორეა ჰერალდი".

თუმცა კორეელთა თავკაცი გუს ჰიდინკი თავშეკავებულია: „ბევრი ამერიკელი ევროპაში თამაშობს და ამ ფაქტის გაუბრალოება არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, მათ პორტუგალია დაამარცხეს. მოდუნება დამღუპველია და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ბიჭები საბრძოლველად განვაწყოთ."

აქ კვლავ ბევრი იწერება ამერიკელთა გამარჯვებაზე პორტუგალიასთან. „ჩვენ შევპირდით სიურპრიზებს — ჩვენ გავიმარჯვეთ ერთ-ერთ ფავორიტთან. ამერიკას დიდი გუნდი ჰყავს. ელოდეთ მორიგ გამარჯვებას" — ოპტიმისტურია ამერიკელთა 51 წლის მწვრთნელი ბრიუს არენა.

სხვათა შორის, პორტუგალია — ამერიკის მატჩს ორივე ქვეყნის პირველი პირები გამოეხმაურნენ.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, მართალია თამაში ვერ ვნახე, მაგრამ შედეგით ძალიან გავიხარე და თქვენს გვერდით ვარო. პორტუგალიის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა კი გასამხნევებელი დეპეშები გამოუგზავნეს თავისიანებს, გამხნევდით, ყურები არ ჩამოყაროთ, ყველაფერი წინ გაქვს, ჩვენ თქვენი იმედი გვაქვსო.

„კორეა ტაიმსმა" პირველი წრის დასრულების მერე თავისი ნომინანტები წარუდგინა მკითხველებს: საუკეთესო შედეგები და თამაში აჩვენეს სენეგალმა და აშშ-მა; საუკეთესო გოლი გაიტანა დარიო როდრიგესმა (ურუგვაი), საუკეთესო ალტერნატიულ გოლად მოინათლა ამერიკელი ჯეფ აგოსის მიერ გატანილი მართლაც რომ ლამაზი გოლი საკუთარ კარში; გმირად კორეელი ფორვარდი ჰვანგ სუნ-ჰოგი, ყველაზე დიდ სიმულანტად კი რივალდო.

საინტერესოა, რომ რუსეთ — ტუნისის მატჩის პირველი ნახევარი „ჰერალდმა" ასე შეაფასა: „ჩემპიონატის ყველაზე გამოთაყვანებული ფეხბურთი".

და ვინ იფიქრებდა, რომ ფრანგები ჯგუფში ბოლო ადგილზე იქნებოდნენ?



სად წავიდა ტექნიკა...



ურუგვაისთან მატჩისას, ხალხი პარიზის ქუჩებში ტყუილად გამოეფინა

# ის გვინდა, ის!

**პარიზის** მერიასთან უზარმაზარი ეკრანია დამონტაჟებული. დედაქალაქელთა ერთი ნაწილი თავის ნაკრებს ამ ეკრანთან თავმოყრილი გულშემატკივრობს. „დააბრუნეთ ზიზუ!" — ასეთი შეძახილები ისმოდა პარიზში ურუგვაისთან ნათამაშები ფრის შემდეგ.

როჟე ლემერს იმედი კი აქვს, რომ ზიდანი მესამე მატჩისთვის გამოჯანმრთელდება, მაგრამ საკითხავი ის არის, თავად ზიდანი თუ გარისკავს სრულყოფილ ფორმაში შესვლამდე თამაშს. მოგეხსენებათ, ფრანგებს დანიელებთან ორბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებათ, რათა სხვებზე არ იყვნენ დამოკიდებულნი.

„ან ყველაფერი, ან არაფერი" — ეს „ეკიპის" სათაური გახლავთ. ფრის მიუხედავად, ჟურნალისტებმა ფეხბურთელები მაინც შეაქეს. ურუგვაისთან შედარებით უკეთ ითამაშეს, თან კაცნაკლულებმა: „65 წუთის განმავლობაში თერთმეტის წინააღმდეგობას ამსხვრევდნენ. მართალია, ვერ გატეხეს, მაგრამ ამ მატჩში ჩვენიანთა პასები უფრო ზუსტი და აზრიანი იყო, ვიდრე პირველ შეხვედრაში. სენეგალთან მარცხს ვერ ჩამოირეცხენ, მაგრამ ეს ერთი ქულა შეიძლება მათი გადამრჩენი აღმოჩნდეს".

იგივე აზრი განავრცო „ფიგარომ": „ერთი ქულა და დიდი იმედი. გამძლეობის ხარჯზე ნაკრებს მერველფინალში გასვლის შანსი შერჩა. ერთადერთი, რისი გახსენებაც სჭირდებათ, გოლის გატანაა".

იყო ასეთი ფრაზებიც: „ყველას ზიდანის ნახვა სურს. მესამე მატჩში ის აუცილებლად გვჭირდება. ახლა უკვე ცხადია, რომ ზიდანი აშკარად გვაკლია".

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მარსელ დესაის უთხრა, დანიასთან უნდა მოიგოთ და მეც თქვენს გვერდით ვიქნებიო.

**გაგა ხუციშვილი**

# იქნება, არ იქნება...



ვლადიმირ ბესჩასტნიხი და ალექსანდრ მოსტოვოი

**რუსთა** პლეიმეიკერი ალექსანდრ მოსტოვოი უკვე ძირითად ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა იაპონიასთან საკვირაო მატჩში მისი მონაწილეობა ჯერაც საეჭვოა: „ვითარება გაურკვეველია, სხვებთან ერთად კი დარბის, მაგრამ სათამაშო ვარჯიშებს კვლავაც ერიდება" — ამბობს რუსეთის ნაკრების ექიმი ზურაბ ორჯონიკიძე.

მოსტოვოიმ სამი კვირის წინ, მოსკოვის ტურნირზე იუგოსლაველებთან შეხვედრაში გაიმიზეზა ტრავმა, რომელიც იაპონიაში წვრთნისას კიდევ უფრო გაურთულდა და ტუნისთან პირველი თამაშიც ამიტომ გამოტოვა.

რუსთა მწვრთნელი ოლეგ რომანცევი ჩრდილოაფრიკელებთან გამარჯვების მიუხედავად, თავისი ბიჭების თამაშით უკმაყოფილო დარჩენილა, ამიტომ საიაპონიოდ შემადგენლობაში რაღაც-რაღაცეებს შეცვლის.

შესაძლოა, თავდასხმაში ვლადიმირ ბესჩასტნიხის ადგილი 18 წლის დმიტრი სიჩევმა დაიკავოს, ვინც ტუნისთან მატჩის გმირი გახდა. თუ მოსტოვოი მომჯობინდა, კიდევ ერთი ჭაბუკი, 19 წლის მარატ იზმაილოვი პლეიმეიკერის პოზიციიდან ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლებს. ეს ის ადგილია, სადაც პირველ შეხვედრაში ვერ გაამართლა ტორპედოელმა იგორ სემშოვმა.

ჩვენ კი დავამატოთ, რომ თუ კვირას იოკოჰამაში იაპონიას მოუგეს, რუსები ვადამდე გაინაღდებენ მერველფინალის საგზურს.

**სოლომონ გულისაშვილი**

24 საათის განმავლობაში
სპორტული ასპარეზობების მიმდინარე შედეგები
უსწრაფესი მომსახურეობით
1 წუთი – 40 თეთრი. ტელ.: 822 009 015
რეგიონებიდან, მგზთიდან, ჯეოსელიდან და მეგაკომიდან. 1 წუთი – 60 თეთრი

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# საპორები საპოროდან



ურუგვაის ტრენერი ვიქტორა



ინგელბერტ პონტელავა
საპოროდან იმენა
კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

ზდაროვათ ძმებო! ეს ისევ მე ვარ, ენგო პონტელავა საპოროდან. ვზივარ ეხლა ტრიბუნაზე და ვფიქრობ რაზე ვისპორო. ისე კი, მაგრად მომბეზრდა, კაზიოლი ვიყო, ამ იაპონელებში ყოფნა. ჯიგარი არა აქვთ, ვაფშე არა აქვთ. ვეუბნები იმ დღეს ამათ იმას, რა ქვია, აი, ტელევიზორში რომ გამოდის და ლაპარაკობს... პო, წამყვანს, აკაკი ავაზაკის — ძმაო, ავაზაკი სან, წამო პივა ავილოთ და ეზოში ჩავჯდეთ, ხის ძირში დავლიოთ. ის კიდევ მპასუხობს, არა პონტელავა სან, ჯერ ერთი, დღეს სამი ფეხბურთია, მეორეც, ეზოში ჩამჯდარი იაპონელი საათში ხუთას დოლარს კარგავს და მესამეც, ეზოებში ხის ძირას ჩაჯდომა უფრო ალჟირში და ტუნისში იციან, ჩვენთან ოფისებში, კომპიუტერებთან ჩაჯდომა ეხერხებათო.

იტოგში, მეთქი ერთი შენი და მეორე იმ შენი ფეხბ...პო, რაზე ვბაზრობდი? ა, გამახსენდა, ფეხბურთზე. კაროჩე, ექსპერტის აზრი, არა? ხარაშო. დღეს ტრენერების ამბავი მინდა გაგიიასნოთ.

ყველაზე მეტად, ძმებო, რაც ეს ჩემპივონატი დაიწყო... ჩემპივონატი კი არა — სულ პივა მენატრება, ძმას გეფიცები — ჩემპიონატი. პოდა, რაც ეს ჩემპივონატი დაიწყო, ვუყურებ მასტებს და ყველაზე მაგრად იმენა ურუგვაის ტრენერი მევასება. აი, ვიქტორა, სქელი, აჩკებიანი ბიძა. გვარი არ მახსოვს, მაგრად უტეხავს, რაღაც ისეთი გვარია. პოდა, მასტია, რა. ჯერ, რომ შეხედავ, სრაზუ აზრზე მოდიხარ, რომ იმხელა ღიპში კაკ მინიმუმ ათი ლიტრა კაი ღვინო ჩაეტევა, მანამდე სამი-ოთხი ჭიქა ჭაჭის ჩაფენით. მერე, თვალებს როგორ აბრიალებს. მერე კიდევ, ის გახსოვთ, საკუთარ პიჯაკს რო ჭამდა? ეგეთი რამეები ხო პროსტომც არ ხდება. მივიდეს, აბა, ის ერიკსონია თუ ნოკია, საკუთარი პლაში შეჭამოს. ვაფშე, ეგ ერიკსონი მაგრად არ მევასება, ტო, იმას გავს... აი, იმას... აი, მე რომ მაგრად ვერ ვიტან... ისტერიკენტს... არა, ი... ი... პო, ინტელიგენს, მე მაგათი...: პოდა, არ მევასება მეთქი და ვსიო, თორემ გავაფრინე ეხლა და დაგჭერით ყველანი ბარძაყებქვეშ. მერე, ბიჭო, გუნდი რას უგავს, ტო?! კაპიტნად როჟა პყავს, თმა ყალყზე უდგას და როგორც აქ წავიკითხე ლამ-ლამობით თურმე ცოლის ნიფხავს იცვამს. კიდე, მაგარი ტრენერია... იზვინი, ერთი წუთით. ტელეფონი რეკავს და მერე გეტყვით:

— ალო!

- ....

— ბიჭო, მე შენ რა გითხარი, ამ ნომერზე აღარ დამირეკო-მეთქი. მაჭერინებ, შე ნეგრო?!

— ....

— ბიჭო ფადიგ, ყელსაბამი დაგაბრუნებინეს, ჯანდაბას, ბრასლეტი ხო შეგრჩა? პოდა დავაი, ეხლა გავყიდოთ, მაყუთი ავილოთ და ურუგვაის იქს დვაზე შევაგდოთ.

— .....

— ე, ბიჭო, შენ რა მშიშარა ხარ, ტო! არ მენდობი თუ რა არის, მაგის დედა ვატირე? ეხლა, მე ნაკოლების მოცემა გამიჭირდება? აქ, საპოროში, სამი ისეთი იუველირნი ვიცი...

— ....

— შევთანხმდით, მაშინ. დავაი!

...პოდა, რას ვამბობდი? პო, სენეგალის ტრენერზე ვბაზრობდი. ეგ ვინ არის, ჩემი კაი, რას პგავს! ეს თმა რაღაა, ტო? მაგის თავი მომცა ჩვენს უბანში და მეტი არ მინდა არაფერი. სრაზუ კალგოტკებს ჩავაცმევდი, ჩემი... მერე ამ ბიჭებს როგორ არბენინებს, მე მაგის... ბიჭების ეგრე გაწირვა შეიძლება? ეგ ფუტბოლი იმენა მკვდარია, ტო. ფუტბოლი იმენა რო შეასრულებ ის არი, ბურთს რო შეჭამ და მოწინააღმდეგის კარში რო... იზვინი, ისევ ტელეფონია:

— ალო!

— ....

— სალამო მშვიდობისა, პოლკოვნიკო სან. ამწუთას ველაპარაკე! რაო და...

... პო, რას ვამბობდი. ყველას დაგჭრით-მეთქი, არა? პოდა დაგჭრით.

ჯიდე მოგწერთ.
მარად თქვენი
ავტორი: ენგელბერტ პონტელავა
ხელმოწერა: +



ერიკსონი ისტერიკენტ ... არა ... პო, ინტელიგენტი მწვრთნელია



ბრუნო მეტსუ ჩვენს უბანში ვერ გაივლის

# ასეც ხდება

*მსოფლიოს ჩემპიონატია, ხალხი გადაილალა, ზოგი რას იტყვის და ზოგი რას – ჭკვიანურს თუ სულელურს, მხიარულს თუ სევდიანს. მაგალითად...*

მთელ მსოფლიოს დავუმტკიცებ, რომ ჩვენ კარგი, გამართული ფეხბურთის თამაში შეგვიძლია

***ნასერ ალ-ჯოჰარი**, საუდეთის ნაკრების მწვრთნელი*

საფრანგეთის ნაკრების ახლანდელი მაღალი კლასი ეჭვს არ იწვევს

***როჟე ლემერი**, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი*

მე, როგორც „ლომი", მეოთხედფინალში გასვლას ვაპირებ. საამისოდ შეიძლება თანამემამულეთა გაწირვაც მომიხდეს

***ვინფრიდ შეფერი**, კამერუნის ნაკრების გერმანელი მწვრთნელი*

ამ ინფორმაციამ გამაშმაგა, შოკში ვარ. შემატყობინეს, რომ რუსეთ – ტუნისის და კამერუნ – საუდეთის მატჩებზე 1111 ადგილი ცარიელი ყოფილა

***კირა ორაჯიმა**, საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივანი*

თურქებთან სიმულაცია უკვე ძველი ამბავია. ვეცდები, მსგავსი აღარაფერი ჩავიდინო

***რივალდო**, ბრაზილიელი ფეხბურთელი*

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, გერმანიაში, ჩვენ სერიოზული ძალა ვიქნებით, 2010-ში კი ფუროს მოვახდენთ

***აბედი პელე**, განელი ფეხბურთელი*

# სმა-ჭამა დიდად შესარგი

## ვირთევზა ეუსებიოს ყელშიც დაიჭირეს



მაძღარმა ეუსებიომ ლუიშ ფიგუ დამოძღვრა

**უნიათოდ**, ამერიკელებთან მარცხით (2:3) დაიწყო მუნდიალი პორტუგალიამ და ახლა პოლონეთთან და კორეასთან მართებს ფხის გამოჩენა.

მწვრთნელ-ფეხბურთელთა პრობლემები ერთია, მაგრამ გუნდისთვის ნაკრების ადმინისტრატორი ელიო ლოურეროც დღენიადაგ ზრუნავს. ფეხბურთელები ისე უნდა გამოვკვებო, რომ მოედანზე ჩიტებივით იფრინონო, გვპირდება ლოურერო.

ამ კეთილშობილმა კაცმა პორტუგალიიდან სამხრეთ კორეაში 200 კილოგრამი დამარილებული ვირთევზა ჩაიტანა. ვირთევზა უმეტესწილად ატლანტიკის ოკეანის ბინადარი სახეობაა და პორტუგალიის სანაპირო ზოლშიც უხვად დაცურავს. თანაც ვირთევზა პორტუგალიელთა ეროვნული კერძია და მას თითქმის ნებისმიერ იქაურ მენიუში აღმოაჩენთ. ეგ კი არა, პორტუგალიაში ვირთევზას მომზადების 365 რეცეპტიც არსებობს.

პორტუგალიელთა სანოვაგეში სარდინიც ბლომადაა. ეს სეზონური თევზი გახლავთ და მისი რეწვა პორტუგალიაში ივნისშია — ამასთან დაკავშირებით ფესტივალიც კი ტარდება ამ ქვეყანაში.

ელიო ლოურეროს განმარტებით, თამაშის მომდევნო დღეს ვირთევზა ფეხბურთელთა ორგანიზმის იმუნიტეტის ამაღლებისთვისაა საჭირო, რომელთან ერთად მოთამაშეებმა სარდინი და ბრინჯიანი ლობიოც უნდა მიირთვან.

მაგრამ თუ პორტუგალია ჯგუფიდან გააღწევს, სერიოზული სირთულეებიც შეექმნება. ლოურერომ პირი მოალო და თქვა, ჩამოტანილი ვირთევზას მარაგი უკვე განახევრებულიაო.

თურმე რა ყოფილა: როცა ჩვენი ოფიციალური პირები და ჟურნალისტები ლანჩზე მივიწვიეთ და კერძები შევთავაზეთ, ვირთევზასაც მაშინ გაავლეს მუსრი და მთქვლიფავთა შორის თვით ეუსებიოც იყოო — თქვა ლოურერომ.

ლოურერო ექვსი წელია, რაც ნაკრების ადმინისტრატორად მუშაობს და თავისი საქმის დიდ მცოდნედ ითვლება. ის მუნდიალამდე ერთი თვით ადრე ჩავიდა კორეაში, რათა სხვათა გარდა კვების საკითხიც სათანადოდ მოეგვარებინა. მან ისიც აღნიშნა, ფეხბურთელთა რაციონისთვის საჭირო პროდუქტების შეძენა კორეაში პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ვირთევზას შოვნა აქ ცოტა ჭირსო.

ელიომ ისიც თქვა, ფეხბურთელები ვახშამზე ერთ ჭიქა ღვინოსაც მიირთმევენ, მაგრამ არა თამაშის დღესო.

ადმინისტრატორი იმითაც კმაყოფილია, რომ კორეაში ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, არგენტინიდან და აშშ-დან ჩამოტანილი საკვების აღმოჩენაცაა შესაძლებელი.

ლოურერო გამეცნიერდა კიდეც და დასძინა, ფეხბურთელებს ამერიკელებთან მარცხის შემდეგ ძალების აღსადგენად ბანანის რძის სმა დავაწყებინე რომელიც იოგურთებითა და ქიშმიშებით არის ათქვეფილიო. ელიო ამტკიცებს, რომ ასეთი კოქტეილი ორგანიზმში კარბოჰიდრატების და გლუკოზის ნაკლებობას ებრძვის.

ბარემ ელიო ლოურეროს დანაპირებსაც შეგატყობინებთ: „თუ საზეიმოდ გვექნა საქმე, განსაკუთრებულ კერძებს დავამზადებთ. გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ ზღვის ნობათი უხვად იქნება. ომარი და კიბორჩხალა ხომ მთლად სადღესასწაულო კერძებია, თანაც სამშობლოდან რამდენიმე ბოთლი კარგი პორტვეინიც წამოვიმძღვარეთ".

**დავით თავართქილაძე**

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 7 ივნისი *ვიო ახვლედიანი*

# მოხდა!
## მედიდურთა მამაშვილობა



სიმეონე და ბექჰემი მგონი, შერიგდნენ ...



ჯულიუს აგაოვას ოლიმპიური ჩემპიონობაც შეუძლია

**ჯგუფური დროების** მთავარი მატჩი მართლაც ინგლისი — არგენტინა იყო. რა აღარ ითქვა და რა აღარ დაიწერა.

ბევრი რამით ცნობილმა დიეგო სიმეონემ ისიც თქვა, ამ თამაშის შემდეგ მაისურას არავის გავუცვლი და რაც მეტს მაგინებენ ინგლისელი ფანები, მით უფრო ავენთები საბრძოლველადო. ეს კი არ გამოვიდა უბრალო ბრძოლის, შეხლა-შემოხლის, კოტრიალის და წიხლაობის თამაში. ეს უფრო რთული თამაში იყო, ვიდრე ღია გრძნობებია.

მსაჯად კოლინა იყო და სწორედ ის უნდა ყოფილიყო. ვინმე უბრალოს ხელში რას დაემსგავსებოდა ეს თამაში, ადვილი წარმოსადგენია.

არ გაუმართლა ტაილანდელ ჯადოქარს, რომელმაც თქვა, თუ ინგლისელებს წითელი მაისურები ეცმევათ, წააგებენო.

საპოროს დახურული სტადიონი, რომელსაც ბოლო კვირას სასტიკად აკრიტიკებდნენ ინგლისელი ფეხბურთზე მწერლები და ხელოვნურ გარემოსა და ჩახუთულობას უწუნებდნენ, ორ მესამედზე სწორედ ინგლისელებით იყო სავსე. თუმცა, პაერი ერთნაირი იყო ინგლისელებისთვისაც და არგენტინელებისთვისაც.

თამაში კი გამოვიდა რთული, მძიმე და უაღრესად მძიმე. ინგლისმა ითამაშა ბრძნულად, ისე, როგორც თითქმის არასდროს უთამაშია.

შვედმა დათვალა ყველაფერი და ფეხბურთელებმაც გაიგეს რა დათვალა შვედმა.

შვედმა დაახლოებით ისე დათვალა, როგორც ითვლიან ინგლისიდან სამხრეთით, აპენინის ნახევარკუნძულზე და როგორც დათვალა მარსელო ბიელსამ ნიგერიასთან მატჩში. მსოფლიოს ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტს ინგლისელების წინააღმდეგ ჰქონდა ერთადერთი ნამდვილი საგოლე მომენტი. ინგლისელებსაც არ ჰქონიათ მაინცდამაინც ბევრი, მაგრამ კარში ბევრად მეტჯერ დაარტყეს.

მაისურები არ გაუცვლიათ, ძალიან ბევრი აუტანელი სისულელე იწერებოდა გაზეთებში მთელი კვირის განმავლობაში და მგონი, ამან მართლაც იმოქმედა არგენტინელებზე. თუმცა, ეს არ იყო მთავარი. ინგლისმა ფეხბურთში აჯობა არგენტინას, რაც პირველი ტურის შემდეგ მოულოდნელი ჩანდა.

ინგლისელებმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ინგლისურ — არგენტინულ საფეხბურთო მითოლოგიას კიდევ ერთი მატჩი შეემატა. რამდენად დათანხმდებიან არგენტინელები ამ შეხვედრის დამახსოვრებას, ძნელი სათქმელია. თუმცა ამაზე ფიქრის დრო მათ ახლა ნამდვილად არა აქვთ, შვედეთის ნაკრები მერვედფინალში გასვლას სწორედ მათთან ძიძგილაობით შეეცდება.

გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო. ნირწამხდარ ფრანგებს ისღა უხარიათ, რომ მესამე მატჩში, რომელიც აუცილებლად ორი ბურთით უნდა მოიგონ, ზინედინ ზიდანი ითამაშებს, მაგრამ აქვე ირკვევა, რომ ნახევარდაცვის პრობლემა კვლავ ცხოველმყოფელია: გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ამ მსოფლიოს თასზე მანუ პეტი, ორი ყვითლის გამო ვერ ითამაშებს უკანასკნელ ჯგუფურ მატჩს. უვარგისი ჯორკაეფი კი ისედაც დაშავებულია.

საზარდულმა შეაწუხა ასევე უხეიროდ მოთამაშე ფრანკ ლებეფი, ხოლო ტიერი ანრის წითელი ბარათი აცდენინებს შეხვედრას. ესეც შენი დაცვა და თავდასხმა. ზინედინ ზიდანის გამოსვლა გვარიანი ფასი დაუჯდათ ფრანგებს. თანაც ახლა ზიზუსგან სასწაულს ელიან. ფრანგებმა ორი ბურთით უნდა დაამარცხონ დანიელები.

მძიმე ვითარების მიუხედავად ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერი დიდი გამარჯვების მოლოდინშია: „ჯგუფის ბოლო მატჩში ჩვენ ძალიან დიდი რამ უნდა მოვახდინოთ", ამბობს ის.

დიდი რამის მოლოდინი კარგია, მაგრამ სხვაგვარი მოლოდინიც არსებობს. საიტამას სტადიონის გასახდელში ორ-საათნახევარს იცდიდა უამრავი ხალხი: ჟურნალისტები, ოფიციალური პირები და ექიმები. ესენი ყველანი ელოდნენ როდის მოინდომებდა დედაბუნება და კამერუნელ მთავარმცველს სამუელ ეტოოს სადოპინგე თხევადი ანალიზის ჩაბარების ნებას დართავდა. ლოდინი ლოდინად და გასახდელში გვარიანი მხიარულება იყო. ეტოოს სითხე-წვენეულიც კი ასვეს. ერთმა ჟურნალისტმა კი ნაცადი ხერხის ამოქმედება მოითხოვა. ტაშტზე წყალი დავასხათ და მისი ჩხრიალი სამუელს საქმეს მოანდომებსო.

ბუნებას რას მოერევი, როცა საჭიროდ ჩათვალა, ნებაც მაშინ დართო. ე. ზოგს რა დარდი აქვს, ზოგს კიდევ რა.

ნიგერიის ტანვარჯიშის ფედერაცია კი სერიოზულად აპირებს დონეცკში მოთამაშე ჯულიუს აგაოვას სატანვარჯიშო გუნდში მიწვევას.

ის, რასაც ჯულიუსი აკეთებს გოლის გატანის შემდეგ ზეიმი და სიხარული სულაც არ არის, არამედ წმინდა ტანვარჯიშია. ცხრაგზისი ალმა მალაყი და ზემოდან კიდევ მერვე ტრიალი! თანაც ყოველგვარი ვარჯიშის გარეშე ამ ნიგერიელის გასაოცარ სატანვარჯიშო ნიჭზე მეტყველებს.

მიეცი ნიჭსა გზა ფართოო: ეს მალაყი შვედთა კარში გატანილი გოლის შემდეგაც ვიხილეთ და უნდა ითქვას, რომ გოლი ჩვეულებრივი თავური იყო, ზეიმი კი მალაყთა არაჩვეულებრივი წყება.

ამავე თამაშში სხვაც ბევრი იყო საინტერესო, მე პირადად პირველად ვნახე, რომ ფეხბურთელს საკუთარი კარის ძელისთვის გაერტყას ბურთი. ეს იოპან მიალბიმ მოახერხა ოკოჩას საავტორო ფინტის შემდეგ. აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ ამ ფინტს სიამოვნებით ველი და მისი ხილვისას დიდადაც გავიხარე. რა თქმა უნდა, ფეხბურთში არის ასეთი პატარ-პატარა, სულ ნამცეცა ნაჩვევი სიხარულები, რომელთა ხილვაც კაცს გულს მოეფინება. ნიგერია კი საუდელ არაბებს მიჰყვა, სულ მალე გაემგზავრება შინ. ეს იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ოლასაგუნ ობასანჯომ საგანგებო თათბირი გაუმართა მწვრთნელსა და ექვს ფეხბურთელს და შვედების უპირობო დამარცხება მოსთხოვა.

„იბრძოლეთ, როგორც დაჭრილმა ლომებმა. თამაშის წინ ბევრი არ ჭამოთ და ყველაფერი კარგად იქნება", უთქვამს ობასანჯოს.

მშიერი კაცის მოგებული კი აბა, სად გინახავთ? თუმცა, ამბობენ, მშიერზე ტვინი უკეთ მუშაობსო. გვეყოს ხუმრობა, ნიგერია წავიდა, თუმცა არ იყო მთლად აცილებლად გასაქცევი გუნდი და ინგლისელებთან რაღაცას შეეცდება.

გუშინდელი დღე იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მოედანზე გამოჩნდა ხოსე ლუის ჩილავერტი, პარაგვაელთა გუნდის მეკარე, ლიდერი, კაპიტანი და ჩეზარე მალდინისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეჭვი მაქვს რომ, მწვრთნელიც.

ესპანელებთან მატჩის წინ ჩილავერტი ერთ ამბავში იყო და იკერ კასილიასს ლანძღავდა. მამისტოლა კაცი უწვერულ ჭაბუკს ლანძღავდა და ამბობდა, პირადად გავუტან ორ გოლს საჯარიმო დარტყმებითო.

კასილიასმა კი პირიქით, ჭეშმარიტად ევროკავშირულად უპასუხა, ამ დიდ მეკარეს პატივს ვცემ და თამაშის შემდეგ მაისურების გაცვლასაც შევთხოვო. ამასთანავე კასილიასს ბეჯითად შეუსწავლია დიდი პარაგვაელის საჯარიმო დარტყმები და თურმე წინდაწინ იცის, როგორ ურტყამს უბერებელი ტახი კარში.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის წინ ჩილავერტი მართლაც მამაშვილურად გადაეხვია კასილიასს. ასეა, დიდ თუ მედიდურ ადამიანებს ბევრს ვერას გაუგებ. ჩილავერტმა კი მოიქნია ერთი-ორჯერ ცენტრიდან, მაგრამ მეტად არასერიოზულად, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა ჩილავერტი ვარო. ერთი ჯარიმა კი, საკმაოდ შორიდან გვარიანი მონდომებით დაჰკრა, თუმცა კასილიასს მართლა შეუსწავლია მისი ილეთები. პენალტის ამღები კი პარაგვაის მომავალი პრეზიდენტი არ ჩანდა.

ესპანელთა მწვრთნელმა კამაჩომ კი ტრადიციულად ცისფერ პერანგში გამოწყობილმა, ტრადიციულად იოფლიანა, თუმცა შეცვლა მოარტყა და მერვედფინალშიც პირველი გავიდა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ესპანელები ყოველთვის გადიან პლეი ოფში და მერე იმედის გაცრუებას დაიწყებენ ხოლმე.



REUTERS ხაზი...

## საგანგებო ლოზუნგი
## დაივიწყე ღმერთის ხელი!

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია ც1 პლეი-ოფი. მე-2 მატჩები** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 034 | ლუქეზე-ტრიესტინა | 1,75 | 2,7 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 035 | ტარანტო-კატანია | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| | | **ნორვეგია. მე-11 ტური** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | სოგნდალი-ლილესტრომი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 037 | ბოდიო გლიმტი-მოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 038 | ბრანი-ლინი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 039 | ბრინი-სტარტი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 040 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 041 | სტაბეკი-როზენბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 042 | ვოლერენგა-მოსი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,15 | 1,95 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 901 | ლუისი-ტაისონი | 1,35 | 20,0 | 2,5 | | | |
| | | **ნოკაუტით მოგება** | | | | | | |
| 23:45 | 902 | ლუისი-ტაისონი | 1,55 | — | 2,9 | | | |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი ეტაპი** | | | | | | |
| | | **8 ივნისი.** | | | | | | |
| 11.30 | 124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 125 | იტალია-ხორვატია | 1,45 | 3,5 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,35 |
| 16.30 | 126 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,1 | 6,5 | 16,0 | 1 | 1 | 4,6 |
| | | **9 ივნისი.** | | | | | | |
| 11.30 | 127 | მექსიკა-ეკვადორი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 14.00 | 128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,8 | 1,2 | 1,1 |
| 16.30 | 129 | იაპონია-რუსეთი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 130 | კორეა-აშშ | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 14.00 | 131 | ტუნისი-ბელგია | 5,3 | 3,6 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 16.30 | 132 | პორტუგალია-პოლონეთი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 133 | დანია-საფრანგეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |
| 11.30 | 134 | სენეგალი-ურუგვაი | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 135 | კამერუნი-გერმანია | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 16.30 | 136 | საუდეთი-ირლანდია | 12,0 | 5,0 | 1,2 | 3,5 | 1,05 | 1 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,4 | 2,0 | 2,9 | | | |
| 14.00 | 1025 | იტალია-ხორვატია | 1,8 | 2,3 | 6,5 | | | |
| 16.30 | 1026 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,2 | 3,0 | 9,0 | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1027 | მექსიკა-ეკვადორი | 2,6 | 2,0 | 3,8 | | | |
| 14.00 | 1028 | კოსტა რიკა-თურქეთი | 4,7 | 2,1 | 2,2 | | | |
| 16.30 | 1029 | იაპონია-რუსეთი | 2,9 | 2,1 | 3,2 | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1030 | კორეა-აშშ | 2,4 | 2,1 | 4,0 | | | |
| 14.00 | 1031 | ტუნისი-ბელგია | 5,6 | 2,3 | 1,9 | | | |
| 16.30 | 1032 | პორტუგალია-პოლონეთი | 1,9 | 2,3 | 5,6 | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1033 | დანია-საფრანგეთი | 6,0 | 2,5 | 1,75 | | | |
| 11.30 | 1034 | სენეგალი-ურუგვაი | 3,4 | 2,0 | 2,9 | | | |
| 16.30 | 1035 | კამერუნი-გერმანია | 3,6 | 2,1 | 2,5 | | | |
| 16.30 | 1036 | საუდეთი-ირლანდია | 10,0 | 2,8 | 1,4 | | | |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2924 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2925 | იტალია-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2926 | ბრაზილია-ჩინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **9 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2927 | მექსიკა-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2928 | კოსტა რიკა-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2929 | იაპონია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **10 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2930 | კორეა-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14.00 | 2931 | ტუნისი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2932 | პორტუგალია-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **11 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2933 | დანია-საფრანგეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2934 | სენეგალი-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2935 | კამერუნი-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2936 | საუდეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**ფორმულა 1 (კანადა).**
**9 ივნისი. 17:00**

**951 რბოლის გამარჯვებული**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 1,5 |
| ბარიკელო | 4,0 |
| რ.შუმახერი | 6,0 |
| მონტოია | 6,0 |
| კულთარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 |
| ბატონი | 50,0 |
| ტრული | 50,0 |

**952 უსწრაფესი წრე**

| | |
|---|---|
| მ.შუმახერი | 1,9 |
| ბარიკელო | 2,8 |
| რ.შუმახერი | 6,0 |
| მონტოია | 6,0 |
| კულთარდი | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 |
| ბატონი | 50,0 |
| ტრული | 50,0 |

**953 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას**

| | |
|---|---|
| 9 ან ნაკლები | 4,0 |
| 10 ან 11 | 2,5 |
| 12 ან 13 | 3,0 |
| 14 ან მეტი | 3,0 |

### რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

**11 ივნისი. 11.30. 3701**

| | |
|---|---|
| A | 4,2 |
| B | 7,5 |
| C | 4,0 |
| D | 10,0 |
| E | 6,0 |
| F | 3,0 |
| G | 3,8 |
| H | 20,0 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 14.00 | 1125 | იტალია-ხორვატია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1126 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,2 | 25,0 | 50,0 | 3,0 | 7,0 | 25,0 | 50,0 | 25,0 | 25,0 |
| | | **9 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1127 | მექსიკა-ეკვადორი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 16.30 | 1129 | იაპონია-რუსეთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1130 | კორეა-აშშ | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 14.00 | 1131 | ტუნისი-ბელგია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,2 | 25,0 | 12,0 | 2,2 |
| 16.30 | 1132 | პორტუგალია-პოლონეთი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| | | **11 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1133 | დანია-საფრანგეთი | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,8 |
| 11.30 | 1134 | სენეგალი-ურუგვაი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 16.30 | 1135 | კამერუნი-გერმანია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 16.30 | 1136 | საუდეთი-ირლანდია | 20,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 5,6 | 3,0 | 40,0 | 20,0 | 1,4 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7**

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

**კროკო**

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები $9^{00}$ — $19^{00}$**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**


### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | |
| 11.30 | 2024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2025 | იტალია-ხორვატია | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2026 | ბრაზილია-ჩინეთი | 2,5 | 1,3 |
| | | **9 ივნისი.** | | |
| 11.30 | 2027 | მექსიკა-ეკვადორი | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2028 | კოსტა რიკა-თურქეთი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2029 | იაპონია-რუსეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **10 ივნისი** | | |
| 11.30 | 2030 | კორეა-აშშ | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2031 | ტუნისი-ბელგია | 1,85 | 1,65 |
| 16.30 | 2032 | პორტუგალია-პოლონეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **11 ივნისი** | | |
| 11.30 | 2033 | დანია-საფრანგეთი | 1,9 | 1,6 |
| 11.30 | 2034 | სენეგალი-ურუგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2035 | კამერუნი-გერმანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2036 | საუდეთი-ირლანდია | 2,1 | 1,5 |

### რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**11 ივნისი. 11.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,3 |
| აფრიკა | 20,0 |
| აზია | 40,0 |

### რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი 11.30. 2401**

| | |
|---|---|
| 00-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

## ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | |
| 11.30 | 2124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2125 | იტალია-ხორვატია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2126 | ბრაზილია-ჩინეთი | 2,1 | 1,2 |
| | | **9 ივნისი** | | |
| 11.30 | 2127 | მექსიკა-ეკვადორი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2128 | კოსტა რიკა-თურქეთი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2129 | იაპონია-რუსეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **10 ივნისი** | | |
| 11.30 | 2130 | კორეა-აშშ | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2131 | ტუნისი-ბელგია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2132 | პორტუგალია-პოლონეთი | 1,8 | 1,7 |
| | | **11 ივნისი** | | |
| 11.30 | 2133 | დანია-საფრანგეთი | 1,65 | 1,85 |
| 11.30 | 2134 | სენეგალი-ურუგვაი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2135 | კამერუნი-გერმანია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2136 | საუდეთი-ირლანდია | 2,0 | 1,55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **8 ივნისი** | | |
| 11.30 | 2224 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,95 | 1,85 |
| 14.00 | 2225 | იტალია-ხორვატია | 1,25 | 3,8 |
| 16.30 | 2226 | ბრაზილია-ჩინეთი | 1,01 | 6,0 |
| | | **9 ივნისი** | | |
| 11.30 | 2227 | მექსიკა-ეკვადორი | 1,75 | 2,1 |
| 14.00 | 2228 | კოსტა რიკა-თურქეთი | 2,6 | 1,5 |
| 16.30 | 2229 | იაპონია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| | | **10 ივნისი** | | |
| 11.30 | 2230 | კორეა-აშშ | 1,7 | 2,2 |
| 14.00 | 2231 | ტუნისი-ბელგია | 3,2 | 1,35 |
| 16.30 | 2232 | პორტუგალია-პოლონეთი | 1,35 | 3,2 |
| | | **11 ივნისი** | | |
| 11.30 | 2233 | დანია-საფრანგეთი | 3,4 | 1,3 |
| 11.30 | 2234 | სენეგალი-ურუგვაი | 2,0 | 1,8 |
| 16.30 | 2235 | კამერუნი-გერმანია | 2,0 | 1,8 |
| 16.30 | 2236 | საუდეთი-ირლანდია | 4,7 | 1,15 |

## I ადგილი ჯგუფში

**11 ივნისი**
**11.30 3001**
**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 4,0 |
| ურუგვაი | 12,0 |
| დანია | 2,5 |
| სენეგალი | 1,8 |

**8 ივნისი**
**16.30 3003**
**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,05 |
| თურქეთი | 8,0 |
| კოსტა რიკა | 6,0 |
| ჩინეთი | 99,0 |

**10 ივნისი**
**11.30 3004 D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 3,0 |
| პოლონეთი | 10,0 |
| კორეა | 2,1 |
| აშშ | 2,5 |

**11 ივნისი**
**16.30 3005**
**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,2 |
| კამერუნი | 3,3 |
| ირლანდია | 75,0 |

**8 ივნისი**
**14.00 3007**
**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,1 |
| ხორვატია | 15,0 |
| მექსიკა | 4,0 |
| ეკვადორი | 20,0 |

**9 ივნისი**
**16.30 3008**
**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 1,9 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 2,5 |
| ტუნისი | 25,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ახმეტა** | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ ხარ ვენახი!

## ღვინო, ტაპი და ფეხბურთი

*ბატონი ჟაკ დე ვიმი მსოფლიოს ჩემპიონია საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. 1998-ში ემე ჟაკეს გვერდით იდგა. ფიზმომზადების მწვრთნელი გახლავთ. დიღმის ბაზაზე ქართველ კოლეგებს ხელობის საიდუმლოებებს უზიარებდა. ზუსტად იმ დროს მივადექი, ლექცია დაემთავრებინა და საფრანგეთ—ურუგვაის მატჩის საყურებლად ემზადებოდა. პირველ ტაიმს ერთად ვუცქირეთ, შესვენებაზე კი ეს მცირე ინტერვიუ შედგა.*



ჟაკ დე ვიმი თბილისში მსოფლიოს ჩემპიონად ჩამოვიდა . . .

**— როგორ აღმოჩნდით ემე ჟაკეს გვერდით?**

— ბედნიერი შემთხვევის წყალობით. 1980 წელს ემე „ბორდოში" მწვრთნელად მუშაობდა. იქ სტაჟირებაზე გამაგზავნეს და ერთმანეთს დავუახლოვდით. მას მერე ვმეგობრობთ. 1994-ში ემე ჟაკე ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მან მიმიწვია სამუშაოდ და, როგორც ნახეთ, ჩვენმა ერთობლივმა გარჯამ საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა.

**— მაშინდელ და ამჟამინდელ ნაკრებებს თუ შეადარებთ?**

— სენეგალთან მარცხის შემდეგ ერთგვარი იმედგაცრუება დამეუფლა. თან ასეთი დასაწყისი ნებისმიერ გუნდზე უარყოფითად მოქმედებს. ზიდანის არყოფნაზე რომ არაფერი ვთქვა, მთლიანობაში ფეხბურთელები ძველებურად ველარ მოძრაობენ.

**— მათი შესაძლებლობების მცოდნეს, მიზეზიც გეცოდინებათ...**

— აშკარაა, საფრანგეთის ნაკრები, როგორც გუნდი, დაბერდა და, რაღა თქმა უნდა, დაიქანცა. ოთხი წელი გავიდა. ყველას მოემატა ასაკი. კუნთებს მეტი დასვენება სჭირდება. არ დაგავიწყდეთ, რომ გონებაც გადაიღალა და ისე ველარ მუშაობს. თითოეული მათგანი მთელი წლის განმავლობაში თამაშობს, შვებულებაში ყოფნისას ისევ ფეხბურთზე და საკუთარ ფორმაზე ფიქრობს.

**— 1998-ში?**

— ოთხი წლის წინ გუნდი მართლაც რაციონალურად იყო მომზადებული. დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა. ყველა ისე ძლიერად გამოიყურებოდა, რომ რომელიმეს გამორჩევა მიჭირს. ძალების აღსადგენადაც დრო საკმარისზე მეტი გვქონდა, ახლა კი ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს. ცოტა დრო თითქმის არაფერს ნიშნავს. შედეგიც სახეზეა, თუნდაც იგივე ბელგიასთან მარცხი.

**— მწვრთნელთა უმეტესობა ყოველი მომდევნო მატჩისთვის ძალების აღდგენაზე საუბრობს, მათ ეს აწუხებთ. გადატვირთული კალენდარი მთელი მსოფლიოს პრობლემაა...**

— ნამდვილად ასეა. მე ვიტყოდი, რომ საუბარია სრულფასოვან რეაბილიტაციაზე ნებისმიერი თამაშის შემდეგ. ისე კი, მეტ-ნაკლებად ყოველი მატჩისთვის შეიძლება მომზადება. სწორედ ძალების არასრულფასოვნად აღდგენა შემდგომში ფეხბურთელის ჯანმრთელობას დაღს ასვამს. ყველაზე მეტად ხარვეზები სეზონის ბოლოს გამოჩნდება ხოლმე.

**— გამოსავალი?**

— თამაშების რაოდენობის შემცირებაა უმოკლესი გზა, მაგრამ რად გინდა, ბობოლა კლუბები ვარსკვლავბიჭებს ყიდულობენ და მერე ცდილობენ, სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებით დახარჯული ფული ამოიღონ. ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ფეხბურთელებს მოედანზე გასვლა უწევთ. ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა. ველარავისთან გაისეირნებ, 90 წუთი ოფლი უნდა იღვარო. კლუბების ბოსებისთვის მოთამაშენი იმ მანქანებად იქცნენ, რომლებმაც მოგება უნდა მოიტანონ.

**— თქვენი აზრით, დღეს ფიზიკური მომზადება უმთავრესია?**

— საერთოდ, ყველა ქვეყანას თავისი დამახასიათებელი სათამაშო სტილი აქვს. ცნობილია, რომ ჩრდილოელები უფრო კუნთებზე იყურებიან, სამხრეთელები კი ტექნიკას აქცევენ ყურადღებას. დღეს ამ ორი ნიშნის შეერთებაა მთავარი, ისე რომ ერთმა მეორე არ დაჩაგროს. მათი სწორად შერწყმისას იქმნება კარგი გუნდი. ჩვენ საფრანგეთში ამ მიმართულებით ვმუშაობთ.

**— ფრანგულ საკლუბო ფეხბურთში რა მდგომარეობაა?**

— ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩვენ მართლაც წინ წავიწიეთ. თითქმის ყველა პროფესიულ კლუბში არის სპეციალისტებით დაკომპლექტებული ცენტრი, სადაც ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაზე ზრუნავენ.

**— ალბათ, ყველაფერი ბავშვების სწორად აღზრდიდან იწყება...**

— არსებობს საერთო, მომზადების პროგრესული გეგმა, რომელიც 5-6 წლის მოზარდებთან მუშაობას ითვალისწინებს. იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ყოველ ეტაპზე განსაზღვრულია როდის, როგორ ან რა დოზით უნდა დაიტვირთოს ახალგაზრდა. ფეხბურთელის საბოლოო ჩამოყალიბება 18-20 წლის ასაკში ხდება.

**— მიუხედავად კარგი პირობებისა, დოპინგზე ჩავარდნილებიც გვინახავს...**

— ეს ინდივიდუალური ამბავია. ძირითადად, ცხადია, ამ პრეპარატებს ისინი ხმარობენ, რომლებიც სხვებთან შედარებით მოისუსტებენ. ჩვეულებრივი კონკურენციის მომენტია, თუ სუსტი ხარ, ძირითადში ველარ ხვდები ანუ სამუშაოს კარგავ და თავის გამოჩენის საშუალებაც აღარ გაქვს. რაც შეეხება პატარ-პატარა ეშმაკობებს, რომლებსაც მწვრთნელები და ექიმები მიმართავენ, ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მე მსგავს საქმეებში ხელი არ მირევია.

**— ყოფილი საბჭოეთის სივრცეში რომელ მწვრთნელს გამოარჩევდით?**

— უდავოდ ლობანოვსკის. მან დროს გაუსწრო. საქმის უზადო მცოდნე გახლდათ. მისი თითოეული ფეხბურთელი განსაკუთრებული შემთხვევაა. ლობანოვსკი თითოეულ მოთამაშეს ინდივიდუალურად უდგებოდა, შეეძლო, ფეხბურთელი შეექმნა. მერწმუნეთ, რაც მან თავის დროზე შეძლო, იმის მიღწევა უაღრესად ძნელია. ეს მხოლოდ ნიჭიერთა ხვედრია.

**— ამჟამად სად მუშაობთ?**

— ორი წლის განმავლობაში „მონაკოში" გახლდით, ახლა კი მარსელის „ოლიმპიკში" მიმიწვიეს. იქ ახალი მწვრთნელია, ალან პერენი და მან მთხოვა დახმარება.

**— ბერნარ ტაპის იცნობთ?**

— პოო, ტაპი. ის ფეხბურთზე შეყვარებული კაცია, მაგრამ ამჟამად გუნდს ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს. ბერნარი თავისი ბიზნესითაა დაკავებული და „ოლიმპიკის" საქმეებში ძველებურად აღარ ერევა.

**— ურთიერთობაში როგორია?**

— ძალიან თავისებური და უცნაური. პირადად მე მის გვერდით მუშაობას ნამდვილად არ ვისურვებდი. ვიცი, ერთმანეთს ვერ გავუგებთ.

**— როგორც ფრანგს, ღვინოსთან კარგი ურთიერთობა გექნებათ...**

— უეჭველად. ღვინისა და ყველის იმდენი სახეობაა, ხან თვითონ ავირევი-ხოლმე. თქვენებურიც გავსინჯე. ძალიან მომეწონა, ორიგინალური გემო ჰქონდა და ხარისხით ჩვენსას არ ჩამოუვარდება. ფეხბურთელსაც ისეთივე მოვლა-პატრონობა სჭირდება, როგორც ვაზს. თუ ყველაფერს დროულად მიაწვდი, ღვინოც კარგი დადგება და ფეხბურთელიც.

***ჟაკ დე ვიმმა მატჩის ყურება განაგრძო, რომელშიც საფრანგეთის ნაკრები დამარცხებულ ღვინოს ჰგავდა. მუსიე ჟაკიც გულდამძიმებული დავტოვე.***

**გაგა ხუციშვილი**



. . . თვისტომთა თამაშის მაცქერალი კი აქედან, ეტყობა, ევროჩემპიონად წავა



# აშვეთიამ კოპენჰაგენს რუსეთი დასტყუა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა, 23 წლის მიხეილ აშვეთიამ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ საწადელს მაინც მიაღწია — დანიურმა „კოპენჰაგენმა" ქართველი ფორვარდის განათხოვრებაზე თანხმობა განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ აშვეთია „კოპენჰაგენმა" გასული სეზონის წინ ქუთაისის „ტორპედოდან" საკმაოდ დიდ თანხად, 1,1 მილიონ ევროდ შეიძინა. დანიელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩვენებურზე, თუმც აშვეთიას ათამაშება საშველი არა და არ დაადგა — ის უმეტესად მატჩის განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, ან უკეთეს შემთხვევაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მართალია, თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობით მოედანზე რამდენიმე წუთითაც გამოჩნდა, თუმც ეს ხომ ზღვაში წვეთი იყო...

ყველაზე დიდი იმედით მიხეილ აშვეთია უპირველეს კონკურენტ სიბუსისო ზუმას შეჰყურებდა. უფრო სწორად, სამხრეთაფრიკელის სხვა გუნდში გადასვლას ელოდა, რასაც „კოპენჰაგენის" ხელმძღვანელობაც ადასტურებდა, მაგრამ... სეზონის ბოლოს გაირკვა, რომ დანიელები სიბუსისო ზუმას გაყიდვას აღარ აპირებდნენ და ჩვენებურსაც სხვა რაღა დარჩენოდა? ახლა გუნდზე დაიწყო ფიქრი.

მსურველიც მალე გამოჩნდა. რუსული „ალანია", სადაც მიხეილ აშვეთია 1997 წელსაც თამაშობდა და 18 თამაშში 5 გოლიც გაიტანა, მზად იყო ქართველის შესაძენად. თუმც ეს ტრანსფერი საკმაოდ გაჭიანურდა. მთავარი „დამნაშავე" კი აქაც „კოპენჰაგენი" იყო, რომელიც აშვეთიას გაშვებაზე უარს ამბობდა.

საბოლოოდ, როგორც ზემოთ გითხარით, დანიელები გატყდნენ და ჩვენებურის განათხოვრებაზე დათანხმდნენ. ისე ჩანს, „ალანია" ამაზეც არ იტყვის უარს და, სავარაუდოდ, მიხეილ აშვეთია ნოემბრის ბოლომდე ძველ თანაგუნდელ გია იმედაძეს შეუწყვილდება. თუ ეს ვარიანტი ჩაიშალა, მაშინ მიხო რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ გუნდში ითამაშებს, შესაძლოა მახაჩყალის „ანჟიშიც".

**კახა ზალამბერიძე**

# მეოთხე მოვა?

## ფედერაციისთვის სიმართლე ხუთი ათასზე ძვირად ფასობს

**ფეხბურთის ფედერაციამ** უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა და სულაც არ აპირებს იმ ხუთი ათასი ლარის გადახდას, რომელიც სასამართლოს ძალითვე დაეკისრა.

შეგახსენებთ, რომ ფედერაცია ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილი ლოგოს დამახინჯებისთვის გაამტყუნეს და სასამართლოს აღმასრულებლები ერთხანს ყველაფერს ატუსაღებდნენ, რასაც ზემოთ ნახსენები ლოგო ამშვენებდა.

„ჩვენ ხუთი ათასზე მეტს გავიღებთ და სიმართლეს დავამტკიცებთ. ფედერაციას არც ლოგო დაუმახინჯებია და ერთი მაისურაც არ გაუყიდია. ეროვნული გუნდის ამუნიციაზე დაკრული ლოგო სამუშაოს შემსრულებელმა უცხოურმა ფირმამ უნებლიედ დაამახინჯა. ტექნიკურად თურმე შეუძლებელი ყოფილა ლოგოზე დახატული ასოების თავდაპირველი ფორმით სხვადასხვა ნივთებზე გადატანა. თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ფედერაციამ ერთი მაისურა მაინც გაყიდა, მაშინ სათქმელიც არაფერი გვექნება" — განაცხადა გუშინ სეულიდან დაბრუნებულმა ვალერი ჩოლარიამ.

ლოგოს გარშემო ატეხილი დავა, ალბათ, კიდევ არაერთხელ გახდება გარჩევის საბაბი, მანამდე კი იმ ამბებზე მოგახსენებთ, გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რომ გვითხრა.

ქართული ფეხბურთის თავკაცებს კოლეგები შეხმიანებიან ისრაელიდან და კიდევ ერთხელ შეუთავაზებიათ ეროვნული გუნდების გაჯიბრება. 21 აგვისტოს თბილისში გეწვევითო, იწერებიან ებრაელები.

მიუღებელი ამაში თითქოს არაფერია, მაგრამ 21 აგვისტოს ჩვენი ეროვნული გუნდი ესტონეთს სტუმრობს და თავად სტუმარს თბილისში რანაირად დაუხვდება. ებრაელთა შემოთავაზებაზე უარი მაინც არ შეუთვლიათ, მომავალი წლის 30 აპრილს გავეჯიბროთო, გაიგზავნა ფაქსი თელ ავივში.

სეულში მყოფ ქართულ დელეგაციას სამხრეთაფრიკელი კოლეგებისგან მიპატიჟება მოუღიათ. თბილისში პატივი რომ გვეცით, სამაგიეროს როდის გადაგიხადოთო. ვალერი ჩოლარიას მტკიცებით, ქართველები მზად არიან ბაფანა ბაფანას გამოწვევა მიიღონ, მხოლოდ თარიღია შესათანხმებელიო.

გენსეკის ნათქვამს თუ ვენდობით, ფედერაციის ახალი ოფისი ივლისში საბოლოოდ მოეწყობა და გაიხსნება, ხოლო ნაკრების ასევე მშენებარე ბაზა წლის ბოლოსთვის ჩაგვბარდებაო.

24 ივნისს 12 საათზე სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში აღმასკომი შეიკრიბება. დამტკიცდება ყრილობის დელეგატთა სია, მეთოთხმეტე ჩემპიონატის კალენდარი და სხვა საკითხებიც განიხილება. 24 ივნისის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტობის ყველა მსურველი გვეცოდინება.

ჯერჯერობით ასეთი სამია — მერაბ ჟორდანია, დავით პეტრიაშვილი და ვაჟა ჩხაიძე. საბოლოო ვადის ამოწურვამდე ორ კვირაზე მეტია დარჩენილი, ბოროტი ენები კი დღემდე დაჟინებით ამტკიცებენ, მეოთხე კანდიდატის გამოჩენაც არის მოსალოდნელიო.

**გამუკა ძგანტალიანი**

# მამა რიჩის ახდენილი ოცნება

## რიგში პარიზული «განსხვავებულია»

„ააააჰ"– ანდრე აგასის ამ განწირული ამოძახილის მოსმენა მაყურებელს იმ დღეს 87-ჯერ მოუხდა.

10 წლით მასზე უმცროს ესპანელთან, უნიჭიერეს ხუან კარლოს ფერეროსთან წაგებულ მეოთხედფინალში 7-გზის მესლემტიტულემ და როლან გაროსის სამი წლის წინანდელმა მარხარმა ზუსტად ამდენი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ეს საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რათა „კოლოს", როგორც ფერეროს საჩოგნეთში მოიხსენიებენ, თავისი ზედიზედ მესამე საროლანგაროსო ნახევარფინალი დაებევებინა.

ჯადო-ანდრანიკს ვერც პარიზულმა წვიმამ უშველა, რამაც ესპანელისა და მისი შეხვედრა ერთი დღით სწორედ მაშინ შეაფერხა, როცა მას ერთი სეტი უკვე წაეგო, ხოლო მეორის წაგებას ლამის უყოყმანოდ „აპირებდა".

არ განმეორდა წინა წრის ამბავი, როცა ფრანგ პოლ-ანრი მატიოსთან ორსეტჩამორჩენილს კათხისპირულმა ნალექმა მოუსწრო და მატჩის გადარჩენა სამეორდღეოდ გადაუდო.

თურმე დიად მეჩოგნეებსაც უთენდებათ დღეები, როცა მათ მომნუსხველ ძალას აღარც მეტოქე მორჩილებს და აღარც მათი საკუთარი სხეულის ნაწევრები...

ანდა სად იყო საერთოდ იმ დღეს ის მომნუსხველობა, რაც პატარა ბიჭობისას ხუან კარლოსს ტელეეკრანისგან მოცილების საშუალებას არ აძლევდა. „აგასისა და სამპრასის ფინალების ცქერა ჩემთვის ერთ რამედ ღირდა — იგონებს ფერერო — მთელი ყრმობა იმ ოცნებით გავატარე, რომ ოდესმე მასთან შეხვედრის შანსიც მომეცემოდა. აი, ეს შანსიც — მე ის დიდებულად გამოვიყენე".

და მართლაც — 32 წლის ჩამავალსა და 22 წლის ამომავალ ვარსკვლავებს ერთმანეთთან ჩოგანი აქამდე არასოდეს გადაეჯვარედინებინათ.

ვაგლახ, კოლოს ნესტარი საკმაოდ მტკივნეული გამოდგა არმენოამერიკელის უკვე გვარიანად მოღლილი კიდურებისთვის — 6:3, 5:7, 6:2, 6:2.

„როლან გაროსი ჩემთვის ყოველთვის ურთულესი სარბიელი იყო — ამბობდა ანდრე — და მართალია, ასაკის მატებასთან ერთად დიდი გამარჯვებების ალბათობა იკლებს, მაგრამ მომავალს მაინც იმედიანად ვუყურებ. ჩემი თამაშით უკმაყოფილო ჯერაც არა ვარ და ვთვლი, რომ აქაც რიგიანი შეხვედრები გავმართე. ახლა კი მთელი ჩემი ფიქრები უკვე უიმბლდონისკენაა — ამ მარცხმა ბევრი ნაკლი დამანახა და, ვეცდები, დარჩენილ დროში მათ აღმოფხვრაზე წავიმუშავო".

„თუკი ვინმეზე იმის თქმა შეიძლება, უნაკლოაო, ეგ ალბათ მასზე — აი, ასე ტაქტიანად ეპასუხებოდა აგასის ფერერო — ის ძალიან მკვირცხლია და ვერაფრით აჯერხებ, უკანა ხაზიდან ხანგრძლივი ხათქა-ხუთქი მოახვიო... ადრეც ვფიქრობდი და ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყველა დროის ერთი უდიდესი მეჩოგნეა".

ხოლო ნახევარფინალი? — იქ ფეროს რუსი გოლიათი მარატ საფინი უნდა შეხლოდა, მაგრამ ის მაინც იმედიანად და მშვიდად იყო. წინა ორი წლის განმავლობაში ბოლო ოთხეულამდე მისულს მას გზას მომავალი ჩემპიონი გუსტავო კუერტენი ულობავდა და, რაკილა გუგა ახლა უკვე კორტისგარეა, ფეროს უწინარესად ის ტრავმა აფიქრებს, ტურნირის მსვლელობისას ვარჯიშზე რომ მიიღო.

თუმცა ბოლო მატჩებში მას ამ ტრავმისა არაფერი ეტყობოდა, ისევე, როგორც არც მარატ საფინის საამტურნირო დამაჯერებელ ჩოგნაობას დამჩნევია რამე არგენტინელებთან მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში დაჭიმული ზურგისა. ადგილობრივ ქომაგთა დარჩენილ ფალავან სებასტიან გროსჟანს რუსმა პირწმინდად და სეტისწაუგებლად გადაუარა — 6:3, 6:2, 6:2 — და მსოფლიო საჩოგნეთს კიდევ ერთხელ გაუღვივა იმედი, რომ როლან გაროსს წლეულს არა წმინდა მეთიხნარე, არამედ შემტევი და მიმზიდველი მეჩოგნე მოიგებს!

ფერეროსთან კი საფინს სიყრმისეული მეგობრობა აკავშირებს. ერთი-ორი კვირით უფროს-უმცროსმა ამ ბიჭებმა ერთმანეთი ესპანეთში გაიცნეს, სადაც ჭაბუკ მარატს თინეიჯერობის უმეტესი ხანი გაუტარებია. 14 წლიდან იგი ვალენსიაში ცხოვრობდა და საჩოგბურთო ხელოვნებასაც ესპანელი დამრიგებლის, რაფაელ მანსუას ხელდასხმით ეუფლებოდა. მან შესანიშნავად იცის ესპანური და ესპანეთს თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს.

ოღონდ — მისი და ფეროს მრავალწლიანი სიახლოვე მათი სტილის მსგავსებას სულაც არ ნიშნავს — თუკი კოლო დასტურ ესპანელი მეთიხნარეა, თუმცა ოდნავ უფრო სწრაფი და ძლიერი, მარატი უკანახაზიდანაც აუღელვებლად ურახუნებს და ბადესთანაც უაღრესად სახიფათოდ თამაშობს.

ასეა თუ ისე — ფერერო ნახევარფინალში ორ თვისტომთან, ალექს კორეჩასა და ალბერტ კოსტასთან ერთად გავიდა. ასეთი რამ კი, ანუ სამი ესპანელის ბოლო ოთხეულში ერთობლივი გარონიება როლან გაროსზე ბოლოჯერ 1998 წელს ალინიშნა, როცა ალექს კორეჩას მხარს ფელიქს მანტია და მომავალი ჩემპიონი კარლოს მოია უბამდნენ.

გროსჟანს კი მთელი ძალით თამაში იმ დღეს მტკივანმა მარცხენა ფეხმაც არ დაანება. აქეთ ტრავმით შეურვებულმა, იქით შლეგი მეტოქით — 65 უნებლიე შეცდომა დაუშვა და საფინის ამგვარსავე მონაცემს მთელი 30-ით გადააჭარბა.

სხვათა შორის, რუსი ერთადერთია, ვინაც ბოლო ოთხი სლემტურნირის მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა. 2001 წლის უიმბლდონზე იგი მეოთხედფინალიდანვე გაისტუმრეს, იმავე წლის აშშ-ის ღია პირველობაზე მან ნახევარფინალამდე გააღწია, ხოლო წლევანდელ ავსტრალიაზე მან უკვე ფინალში ითამაშა. ასე რომ — უკეთუ მის ამ აღმასვლით ტენდენციას ვენდობით, ამჯერად მან ტიტულის მოპოვებაც უნდა შეძლოს.

რაც შეეხება კორეჩას, მას ისედაც სხვებთან შედარებით იოლი ამოცანა უნდა გადაეჭრა — რუმინელი ანდრეი პაველი უნდა აელაგმა — ხოლო ერთმა გარემოებამ მარტივი საქმე კიდევ უფრო გაუმარტივა. ოთხაშაბათს, როცა წვიმამ ის და პაველი მის სასარგებლოდ 7:6 (7:5), 7:5, 5:4-ზე გააჰყარა, რუმინელს ბილეფელდთან მდებარე პატარა გერმანულ ქალაქში გამგზავრება მოუხდა, სადაც მშობიარე მეუღლეს მისთვის მეორე შვილი უნდა ეშვა. ახალშობილი მარიუსის სანახავად, ცოლის ჩასაპროშტნადა და მერე საჩქაროდ უკან გამოსაბრუნებლად პაველს მანქანით 16-საათიანი ჯირითი დასჭირდა და მატჩის გაგრძელებაზე ისეთი მისავათებული გავიდა, რომ მესამე სეტის 7:5-მდე აყვანას კორეჩამ მხოლოდ 11 წუთი მოანდომა.

იგი როლან გაროსის ორგზის ფინალისტია — 1998-ში მოიასთან დამარცხდა, შარშან კი გუსტავო კუერტენთან. ნახევარფინალში მას უახლოეს მეგობარ ალბერტო კოსტასთან უნდა ეთამაშა და მატჩამდე ფრიად ხასიათზე იყო. კოსტას ხოტბას ასხამდა და, მაგან თუ მოინდომა, მაგრად იომებსო, ასე ამბობდა. მოკლედ, გამორჩეულ თამაშს გვპირდებოდა.

ალ კოსტას კი — ეგებ ვინმეს არ ახსოვდეს — აქამდე დიდი სლემის 25 ტურნირზე ეთამაშა, მაგრამ ნახევარფინალამდე ერთხელაც ვერ მისულიყო...

ახლა კი ქალთა მხარეზეც გავიხედოთ. თუმცა დასანახი კი ტურნირის ბოლოსკენაც იგივეა, რაც მის დასაწყისში იყო. შავდა უილიამსები დღევანდელ საქალეთში თავიანთი ზორბა გარეგნობითაც გამოირჩევიან და ულევი ილაჯით ნაკვები ოსტატობითაც, რომელსაც ვინმე ვერც ნახევარფინალებში შეეცილა. ვინუსმა კადნიერ და კაფანდარა არგენტინელ კლარისა ფერნანდესს აჯობა 6:1, 6:4, მისმა უმცროსმა დაიკომ კი შარშანდელი ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი აოტა 3:6, 7:6 (7:2), 6:2.

ბოლო ცხრა თვეში ეს დების უკვე მეორე სასლემფინალო შეხლა იქნება — პირველი, რაიც აშშ-ის წინა ღია პირველობაზე შედგა, ვინუსმა სერენას 6:2, 6:4 მოუგო. ოღონდ ამჯერად მათ დაპირისპირებას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ შავდები ფინალში ერთმანეთს ქალთა კლასიფიკაციის ნომერ პირველ და ნომერ მეორე მეჩოგნეებადაც შეეყრებიან. თუკი რაგინდარა სლემფინალის ბედი ადრე დათა სხვა წყვილსაც გაერკვია — და უილიამსებამდე ეს მხოლოდ უოთრეს 1884-ში (!), უიმბლდონის ფინალში შეტოქებულ მოდ და ლილიან უოტსონებს გამოუვიდათ — ისეთი რამ კი არასოდეს მომხდარა, რომ მეფინალეები იმავდროულად რეიტინგსიის პირველ-მეორე საფეხურებზე მდგარიყვნენ. თუმცა ასე ოდესმე ვერც სხვა, ვერმოფინალე დედმამიშვილები მდგარან!

„აბა, ამაზე უფრო ტკბილი რა უნდა იყოს — ღლურტულებდა ბედნიერი ვინუსი ნამატჩევს — დები როლან გაროსის ფინალში ვხვდებოდეთ და თანაც მსოფლიოში უპირველესი ჩოგნები გვეპყრას. ყველაფერი იქით იყოს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი პროფესიის მწვერვალზე ავედით... ცხადია, მე ძალიან მსურს, პირველი საფეხური შევინარჩუნო, მაგრამ არც ის მეწყინება, თუკი ამ ადგილს სერენა დაიკავებს. მე არ დავნებდები, მაგრამ ჩემს დაიკოს ყველაფერი საკმარისად აქვს საიმისოდ, რათა კუთვნილი თავადვე მოიპოვოს".

„ჰო, დიდი ამბავი გვექნება — დასძენდა სერენა — როლან გაროსის მოგება მეც ძალიან მინდა და მასაც, დობის ამბავში რამის დამთმობი კი არც ერთი არა ვართ. გვიყურეთ და იხალისეთ — ეგეთი რამე ბარე ორჯერ არ გენახოთ".

მოკლედ — ჩაუჯექით და უყურეთ. სხვა თუ არაფერი, ისტორიული მატჩია და ბავშვებისთვის მოსაყოლი გექნებათ...

მანამდე კი ცოტა ნახევარფინალებზეც.

მართალია, მათი წინა ოთხი შეხვედრიდან სერენას კაპრიატისთვის ოთხივე მოეგო, ჯენის ქომაგებს მაინც ჰქონდათ თავიანთი ჯილის საჩემპიონო გახელების იმედი — აი, იმგვარისა, რამაც ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელ ფინალში ჰინგისთან ლამის დაჩოქებულს რამდენიმე მატჩბურთი გადაარჩენინა და მორიგი სლემტიტული მიათვლევინა.

ჯენი მართლაც გახელდა, ოღონდ ამ გახელებამ მხოლოდ 4 გეიმს გასტანა და მეორე სეტში 2:5-დან 6:5-მდე ამოაქაჩვინა. მაგრამ სერენამ ჯერ გათანაბრება შეძლო, მერე კი ტაიბრეიკზეც გაილალა და... როგორც მერე გამოჩნდა, მატჩის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდა.

მესამე სეტში კაპრიატი აშკარად მოღლილი ჩანდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. უძლავრეს ფეხებზე შემდგარი სერენა კი კორტზე ბოლომდე მყარად იდგა და სეტის სადავეები ბოლო გათამაშებამდე არ გაუშვია. „ჰო, ბოლოსკენ მე მართლაც მაგრად დავიღალე, სერენას კი არაფერი დასტყობია" — ნანობდა მერე კაპრიატი. თუმცა იქვე იმასაც დასძენდა, რომ ამ გოგოს წინააღმდეგ თამაშისას არც მარტო დაუღლელობა კმარა — მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლოო, აი, ასე ჰ ალალადაც აღიარებდა.

ვინუსისა და ფერნანდესის მატჩზე საუბარი კი ეგებ საერთოდაც არ ღირდეს — პირველი სეტის 19 წუთში მოგების შემდეგ ვინუსმა სიჩქარეებს შეგნებულად მოუკლო და მეორე სეტს მხოლოდ უმცირესი ძალისხმევა მოანდომა...

და სად იყო ამ დროს მამა რიჩი, კაცი, ვინაც ჯერ კიდევ დები უილიამსების საკარიერო გარიჟრაჟზე იქადნიდა, რომ მოვიდოდა დრო, როცა ქალთა ჩოგბურთი მისი ქალიშვილების ჯიშიანი ფეხების ქვეშ განერთხმებოდა?

ფლორიდაში, თავის ვეება ტელევიზორთან სარწეველა სავარძელში მონანავეს პირში საყვარელი კუბური სიგარა გაერჭო და მის მსუყე კვამლში გახვეულს ის დღეები ახსენდებოდა, როცა ადგილობრივ გაზეთებში პირველად გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც შვილებს რეიტინგსიაში პირველობა უწინასწარმეტყველა. ჰო-ჰო-ჰო, როგორ ქირქილებდნენ მაშინ „სახეფითრი" კრიტიკოსები...

ახლა კი მას ველარავინ დასცინებს. ოჯახში უკვე 5 სლემტიტულის შემომტან და აგერ, გარანტირებული მეექვსე ტიტულის დამბევებელ გოგონათა მამას, შეუძლია, მთელ სამყაროს ნიშნი მოუგოს — არც მას და არც მის ნიჭიერ შვილებს ოფლი ტყუილად არ დაუღვრიათ, ღამეები ამაოდ არ უთენებიათ, დამარცხებებს არასოდეს მოდრეკიან...

ახლა მათი დიდების დროა და მათ სურთ, ამ დიდების ყველა სასმისი ბოლომდე შესვან. რიგში როლან გაროსის „განსხვავებულია"!

**ლევან ძილაურაძე**





REUTERS

სერენა უილიამსი ჯენიფერ კაპრიატის ბედისწერად იქცა: სადაც შეხვდა, იქ დასცა





REUTERS

დიდი წყვილის ერთი სევდა: ანდრე აგასის მარცხი შტეფი გრაფის დარდია

| 7 ივნისი |
| --- |
| ვაჟები |

**ნახევარფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (11, ესპანეთი) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:3, 6:2, 6:4; ალბერტ კოსტა (20, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (18, ესპანეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:3**

## ავტორბოლა

# F 1

**მერვე ეტაპი** **კანადის დიდი პრიზი**

## ჟილ ვილნევი

*მონრეალი, 9 ივნისი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . 4.421 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 69 წრე — 305.049 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 22 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 რ.შუმახერი (უილიამსი) 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 ჰაკინენი (მაკლარენი); 4 რაიკონენი (ზაუბერი); 5 ალეზი (პროსტი); 6 დე ლა როსა (იაგუარი)

**წრის რეკორდი:** 2001 — რ.შუმახერი (უილიამსი) 1:17.205 (206,2 კმ/სთ)

# ეჰ, რა კაცი იყო მამამისი
## ჟაკ ვილნევს გვარზე ხტომას სთხოვენ

**ოცი წლის** წინ ბელგიაში დაღუპული ლეგენდარული კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომი, სადაც მან კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხვალ 24-ედ უმასპინძლებს სამეფო რბოლებს. სიგრძისა და სისწრაფის მხრივ ტრასა საშუალოთა კატეგორიას განეკუთვნება. სარეკორდო სიჩქარე შარშანდელმა ტრიუმფატორმა რალფ შუმახერმა განავითარა, ხოლო მოგებებითა და დანარჩენი მაჩვენებლებით პირველია მისი უფროსი ძმა — მიხაელმა მონრეალში ოთხჯერ გაიმარჯვა და ოთხი უსწრაფესი წრეც მიითვალა, საკვალიფიკაციო ბრძოლაში კი ექვსჯერ აჯობა კონკურენტებს. ასეთი წარმატებების მიუხედავად, მიხაელ შუმახერის თქმით, „ჟილ ვილნევი" მაინც არაა მისი სტილის ტრეკი, რადგან ზესწრაფ მოსახვევებში ასპარეზობა ურჩევნია, ასეთები კი მონრეალში პრაქტიკულად არსადაა.

ოთხნახევარი კილომეტრის სიგრძის მიხვეულ-მოხვეული წრე, მართალია, უხიფათოდ ითვლება, მაინც დიდ დატვირთვებს უქმნის ბოლიდებს, განსაკუთრებით მუხრუჭებს და საბურავებს. ხშირად სწორედ მათი საიმედოობა ხდება გადამწყვეტი.

სახელოვანი მამის ტრასა კვლავაც დაუძლეველია მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევისთვის — გამორჩეული მონდომების მიუხედავად მან ერთხელაც ვერ შეძლო მშობლიური დიდი პრიზის დასაკუთრება. ის კი არა, ბოლო ხუთ რბოლაში საერთოდ უქულოდ დარჩა. და მაინც, ხვალ უამრავი მაყურებლის სიმპათია უპირველესად სწორედ მის მხარეს იქნება მიმართული.



REUTERS ფოტოქრონიკა

მთელი კანადა ჟაკ ვილნევს ქომაგობს

### წლევანდელთა კანადური მონაგარი

| | რბოლა | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | |
| მ. შუმახერი | 10 | II | II | I | V | გ | I | I | გ | I | II | 60 |
| ფიზიკელა | 6 | | | | | - | III | II | II | III | გ | 20 |
| ბარიკელო | 9 | | გ | - | II | გ | გ | V | გ | II | გ | 14 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | გ | გ | IV | გ | I | 13 |
| ირვინი | 9 | | გ | გ | III | გ | გ | III | III | - | გ | 12 |
| ვილნევი | 6 | | | | | II | გ | - | გ | გ | გ | 6 |
| კულტჰარდი | 8 | | | V | გ | IV | - | გ | - | - | გ | 5 |
| პანი | 7 | | | - | IV | გ | გ | გ | - | | გ | 3 |
| ფრენცენი | 7 | | | გ | გ | გ | IV | გ | - | გ | | 3 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | IV | 3 |
| ტრული | 5 | | | | | | გ | გ | გ | VI | - | 1 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | გ | გ | VI | 1 |
| სალო | 5 | | | | - | გ | გ | გ | | გ | | 0 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | - | გ | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | გ | გ | 0 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | გ | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | გ | 0 |
| იონგი | - | | | | | | | | | | | - |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი

## ჰოკეი

**სტენლის თასი. ფინალი ოთხ მოგებამდე**

## დეტროიტი 1:1 კაროლინა

# კაროლინა რვაფეხამ შეაშინა



REUTERS ფოტოქრონიკა

კაროლინელ არტურ ირბეს პირველმა კირკ მოლტბიმ გაუტანა

— 6 ივნისი —

**დეტროიტი 3:1 კაროლინა (1:1 0:0 2:0)**

**1:0 მოლტბი (7), 1:1 ბრინდამორი (16), 2:1 ლიდსტრიომი (55), 3:1 დრეიპერი (56)**

**დეტროიტი:** ჰაშეკი; ლიდსტრიომი — ოლაუსონი, ფიშერი — ჩელიოსი, დანდენო — დიუშენი; ფიოდოროვი — აიზერმანი — შენაჰანი, დევერი — დაციუკი — ჰალი, მოლტბი — დრეიპერი — მაკარტი, ჰოლმსტრიომი — ლარიონოვი — რობიტაილი

**კაროლინა:** ირბე; ჰილი — უესლი, ჰედიკანი — უორდი, მალიკი — ვალინი; კაპანენი — ფრენსისი — ონილი, კოული — ბრინდამორი — ბატალია, სვობოდა — ვასიჩეკი — ჟელინა, დანიელსი — ადამსი — ვესტლუნდი

დეტროიტმა რომ ეს მატჩი მოიგო, ამაში უდიდესი წვლილი ქომაგებს მიუძღვით. ორი პერიოდის მანძილზე მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ კერკეტი მეტოქის გატეხვას, მესამეც დაიწყო, მაგრამ ტაბლოზე ისევ 1:1 იყო. თითქოს გარდაუვალი ჩანდა ოვერტაიმი, რაც მკვეთრად ზრდიდა კაროლინას შანსებს და ამ დროს საქმეში მაყურებელი ჩაერია. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ყინულზე დეტროიტის სიმბოლო, უზარმაზარი რვაფეხა ისროლა, თან ცოცხალი. ამას, ჩვეულებრივ, გამარჯვებისას აკეთებენ, ან თუ რომელიმე მოთამაშე ჰეთ თრიქს შეასრულებს. ამ შემთხვევაში კი გუნდის გამამხნევებლად გამოიყენეს. შემდეგ დიქტორის დაჟინებული მოთხოვნით ტრიბუნებიც ახმაურდა. „წინ, დეტროიტო!" — ისმოდა შეძახილები. შემდეგ, როცა დიქტორმა გამოაცხადა, რომ ტრიბუნაზე ვლადიმირ კონსტანტინოვი იმყოფებოდა (1998 წელს იგი ავტოკატასტროფაში მოყვა და დაინვალიდდა), აჟიოტაჟმა უმაღლეს წერტილს უწია. მასპინძლებმა, თითქოს ამას ელოდნენო, ტემპს უმატეს, კაროლინელ არტურ ირბეს კართანაც ჩამოცხა და გოლი გარდაუვალი გახდა. მომენტიც შეიქმნა — ერთ-ერთ სიტუაციაში მარტენ ჟელინამ წესი დაარღვია და კაროლინა უმცირესობაში დატოვა. მანამდე დეტროიტმა 6-ჯერ ვერ გამოიყენა რიცხვმრავლობა, მაგრამ ამჯერად ნიკლას ლიდსტრიომმა იყოჩაღა. მისი შორეული დარტყმა უძლიერესი და უზუსტესი გამოდგა და ირბე უძლური აღმოჩნდა. ეს 55-ე წუთზე მოხდა და, ალბათ, კაროლინა შეეცდებოდა, თამაში ეხსნა, მაგრამ გულმოცემულმა დეტროიტმა არ აცალა და რაღაც 13 წამში კვლავ გაიტანა. ლიდსტრიომმა ჩინებულად გადააწოდა შაიბა კრის დრეიპერს და მანაც ელვისებურად ჩაჭედა მარცხენა ცხრიანში. ეს უკვე ნოკაუტი იყო. კაროლინა წელში ვეღარ გაიმართა.

„ყველაფერს თითქოს კარგად ვაკეთებდით, მაგრამ რაღაც გვაკლდა. მხოლოდ მას შემდეგ გავაკეთეთ გასაკეთებელი, რაც მაყურებელმა გაგვამხნევა" — თქვა მატჩის შემდეგ დეტროიტის თავკაცმა სკოტი ბოუმენმა.

ვინ იცის, ამ გამოცდილმა და სახელოვანმა კაცმა რამდენი იფიქრა, რა მოეხერხებინა კაროლინასთვის. ამ მატჩში დეტროიტმა ყველა ტაქტიკური ვარიანტი სცადა მეტოქის წინააღმდეგ, დაწყებული მასირებული შტურმიდან, დამთავრებული მისსავე ზონიდან გამოტყუება-გამოყვანით და სწრაფი კონტრშეტევით, მაგრამ, ვერაფერი გააწყო. საინტერესოა, რომ დებიუტში ბოუმენის ყოფმანი შეგირდებსაც გადაელოთ და სანამ დეტროიტელები ფიქრობდნენ, ინიციატივა „ქარიშხლებმა" იგდეს ხელთ და ლამის დაწინაურდნენ. თუმც რიცხვმრავლობაში კირკ მოლტბის გარღვევა გამოეპარათ და დაისაჯნენ კიდეც. ამის შემდეგ „წითელფრთიანები" დაეუფლნენ უპირატესობას. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, გოლი მათ კარში გავიდა. თან კაროლინამაც უმცირესობაში გაათანაბრა — რობ ბრინდამორმა ფრედრიკ ოლაუსონს არ აპატია შეცდომა. ამის შემდეგ რაც მოხდა, უკვე იცით.

ამრიგად დეტროიტმა გაათანაბრა ანგარიში სერიაში და ერთგვარ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც მიაღწია, რაკი, ბოლოს და ბოლოს, გამონახა ურჩი მეტოქის ძლევის გზა. მართალია, მომდევნო ორი მატჩი როლიში გაიმართება 9 და 11 ივნისს, მაგრამ დეტროიტი პლეი-ოფში ხომ სტუმრად უკეთ თამაშობს. თუმც ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ვნახოთ, რას დაუპირისპირებს 35 წლის პოლ მორისი მასზე ორჯერ უფროსი ბოუმენის გუნდს.

და კიდევ: მატჩში საუკეთესოდ დასახელებულმა ლიდსტრიომმა ყინულზე 34 წუთი და 38 წამი დაჰყო. ეს წლევანდელი პლეი ოფის რეკორდია.

**სამველ ღარიბიანი**


# იყიდება უნიკალური წიგნები



ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81


## რაგბი

# მოულოდნელი ფინალი
## აქეთ დათვები, იქით ორ-ბელები

**ყოველთვის** ასე იყო: თასის გათამაშება ჩემპიონატის პარალელურად იმართებოდა, წელს კი საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით სათასო ბატალიებმა საჩემპიონატოს დაასწრო. ეს კი იმიტომ, რომ ეროვნული პირველობა შემოდგომაზე დაიწყება და მანამდე გუნდების უქმად ყოფნა საქმეს ნამდვილად არ წაადგებოდა. თანაც, ბათუმის „დათვები" და თბილისის „ლოკომოტივი" 22 ივნისს ევროსარბიელზე მოსინჯავენ ძალას — ამ დღეს ევროპის რეგიონთა თასის გათამაშება იწყება. საქართველოს თასის გათამაშებაც მანამდე უნდა მომთავრებულიყო, სანამ ორივე კლუბი ევროპულ ტურნირს შეუდგებოდა.

თასის გათამაშება მარტში დაიწყო და ხვალ დასრულდება. ფინალში, რომელიც ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, თასისთვის ბათუმის „დათვები" და წლევანდელი სეზონის აღმოჩენა „ორბელი-ლელო" იბრძოლებენ. „ორბელი-ლელოს" ფინალში გასვლა მართლაც მოულოდნელობაა, რაკი გუნდი ჭაბუკი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და მწვრთნელიც ახალგაზრდა, 26 წლის ლევან მაისაშვილია. მეოთხედფინალში „ორბელი-ლელომ" თასის შარშანდელ ფინალისტს და ჩემპიონს, „ლოკომოტივს" 15:14 მოუგო, რითაც სათასო სენსაცია გამოაცხო.

ხვალ ერთ მხარეს გამოუცდელი, ახალგაზრდული, და ჟინიანი „ორბელი-ლელო" იდგება, მეორე მხარეს გამოცდილი „დათვები", რომელსაც სოლიდური შემადგენლობა და ავტორიტეტი მწვრთნელი, ლევან მგელაძე ჰყავს.

მატჩი 6 საათზე დაიწყება.

# ჩვენი ა 14 ფრანგებისა 17

ახალშექმნილმა საქართველოს „ა" ნაკრებმა სადებიუტო მატჩი საფრანგეთში გამართა. ქართველთა მეტოქე საფრანგეთის სამხრეთის, მიდი პირენეეს ოლქის ნაკრები იყო. ეს მხარე ცნობილია თავისი სარაგბო ტრადიციებით, ოლქის ტერიტორიაზე 184 სარაგბო კლუბია, მათ შორის ისეთი ცნობილნი, როგორებიც „კასტრი", „ტულუზი" და „კოლომიე" არიან.

მატჩი ფრანგებმა 17:14 მოიგეს. ქართველთაგან ერთი ლელო თბილისის „ლოკომოტივის" გარემარბმა ლექსო გუგავამ გაიტანა, სამი საჯარიმო კი რუმინელებთან გაბორჯღალოსნებულმა ბობა კვინიხიძემ შეაგდო.

**ბაჩო სვანიძე**


### საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

სეოკ-ი იწვევს ტურისტულ ფირმებს, კომპანიებსა და სააგენტოებს გახდნენ მისი პარტნიორი ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებზე (ათენი, 2004) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის კვოტით გამოყოფილი ბილეთების (მათ შორის თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალები) შესყიდვა-განკარგვაში.

აუცილებელი მოთხოვნა: ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად გამოყოფილი ბილეთების მთლიანი ღირებულების ფასში გამოსყიდვა 2003 წლის იანვარში (30 %) და 2003 წლის სექტემბერში (დანარჩენი — 70 %).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სეოკ-ს (დავით აღმაშენებლის 65. ტელ.: 95 30 79).

კონკურსში მონაწილეობის მსურველების მიერ განაცხადის წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 2002 წლის 25 ივნისი.



80-იანი წლების თანავარსკვლავედი: ხოსე ბირიუკოვი, სერგეი ტარაკანოვი, ვლადიმირ ტკაჩენკო, ნიკოლოზ დერიუგინი და ანდრეი ტიუბინი

# თბილისში დროის მანქანა დიდი ხნის წინ გამოიგონეს

## ნიკოლოზ დერიუგინი და მისი მეგობრები დღეს წარსულს შეგვახვედრებენ



ქართული კალათბურთის ახალთაობელი ზაზა ფაჩულია

**დღეს** ექვს საათზე სპორტის სასახლე და ქართველი გულშემატკივარი ბოლოჯერ იხილავს მოედანზე შესულ, მოთამაშე ნიკოლოზ დერიუგინს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საჩუქარი უძღვნა კალათბურთის ქომაგებს, ბენეფისი მოუწყო დიდ ქართველ კალათბურთელს და ამისთვის უკან დააბრუნა დრო, დერიუგინის თანამედროვე და თანაგუნდელი კალათბურთელები. სპორტის სასახლეში ერთხელაც და იქნებ უკანასკნელად გამოჩნდებიან ადრე იქ უამრავჯერ ნაბურთალი იგივე ახმახი ბიჭები... უკაცრავად, ძიები. ისევ დავინახავთ ნაცნობ, ვგაა, ცოტა მობერებულ სახეებს, ნაოჭებით და თმაში ვერცხლის ძაფებით. დღეს სპორტის სასახლე ერთხელაც მოუყრის თავის საბჭოთა კალათბურთის 80-იანი წლების ოქროს თაობას. ნიკოლოზ დერიუგინი და უწინ მისი დინამოელი თანაგუნდელები, ქართველებიცა და არაქართველებიც, ამჯერად ამხანაგურად გაეთამაშებებიან ძველი დიდი ქვეყნის ნაკრების მეგობრებს და შიდასაბჭოთა ჩემპიონატში „მოსისხლე მტრებს“ ტკაჩენკოს, ვოლკოვს, კურტინაიტისს, ტარაკანოვს...

გუშინ კი აწ დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქმა კვლავაც შინაურულად მიიღო სტუმრები. ადრევე ჩამოსულ ესპანეთის მოქალაქე, თუმც საბჭოური კალათბურთის შვილ ხოსე ბირიუკოვს შუადღის ორ საათზე მოსკოვიდან ჩამოფრენილმა თვითმფრინავმა ვლადიმირ ტკაჩენკო, ანდრეი ტიუბინი და სერგეი ტარაკანოვი მოაყოლა. სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბინავებულთ ღამის ათი საათის კოვზურმა რეისმა უკრაინული და ბალტიისპირული ლეგიონი შეუერთა. სამწუხაროდ, ჩამოსვლა ვერ მოახერხა არვიდას საბონისმა. ნბა-დან წამოსვლის შემდეგ ლიტველი ცენტრი ცდილობს, ოჯახს მეტი დრო დაუთმოს და ჩამოუსვლელობა მოიბოდიშა. გადაწყვეტილი არ იყო პირველი საბჭოთა ნბა-ელის, შარუნას მარჩიულიონისის სტუმრობა, თუმც მას საბოლოოდ არ გადაუწურავს იმედები აქაურთათვის და ვინძლო დღეს დილით გვესტუმროს. გულის ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა დიდი საბჭოთა მწვრთნელი და ნბა-ს დიდების დარბაზის წევრი ალექსანდრ გომელსკი. ვერც ჩვენს ნბა-ელს, ვოვა სტეფანიას ვიხილავთ სპორტის სასახლეში. სამაგიეროდ, დერიუგინს მის თანამედროვეებთან ერთად გააცილებს საქართველოს ნაკრების 18 წლის ლიდერი ზაზა ფაჩულია. ზაზა ამ დღეებში ამერიკაში მიემგზავრება დრაფტში სამონაწილეოდ, მანამდე კი უფროს თაობას თავს დაანახვებს.

გუშინ კი გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ოფისმა მოსალამოებულზე პრესკონფერენციას უმასპინძლა. ფართო მასების წინაშე გამოჩენამდე ჟურნალისტებს დაგვენახვნენ და დიქტოფონ-კამერათა წინ ძველი დრო გაიხსენეს ბირიუკოვმა, ტარაკანოვმა, ტკაჩენკომ, ტიუბინმა, რაღა თქმა უნდა, სპორტის სასახლის ადრეულ სტუმართა რისხვამ ნიკოლოზ დერიუგინმა და მათთან ერთად თავისი ამბები თქვა ზაზა ფაჩულიამ.

„ეშმაკი მოთამაშე იყო კოლია — იხსენებს გოლიათი ტკაჩენკო — არა იმდენად ძლიერი, რამდენადაც მოხერხებული. ძნელი იყო მასთან თამაში“. ძნელი მეტოქე იყო დერიუგინი ვეება უკრაინელისთვის, არც ჩვენებურს ულხინდა ტკაჩენკოს მეურვეობისას. „ქართველების გუნდი“ „დინამოც“ არ იყო იოლი ლუკმა საბჭოეთის გრანდებისთვის. სერგეი ტარაკანოვი ერთგვარი სინანულით იგონებს იმ დროს, როდესაც სპორტის სასახლე ამხელა ქვეყანაში უდიდეს, 10-ათასკაციან აუდიტორიას იკრებდა და სისხლს უშრობდა მეტოქე გუნდებს. ცსკა-ს ყოფილმა ლიდერმა ტარაკანოვმა კურიოზად ეს გაიხსენა — „გვიჭირდა სპორტის სასახლეში თამაში. მახსოვს, ერთხელ „დინამოს“ მატჩის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე ქულას ვუგებდით. ტაბლოს გავხედე და რას ვხედავ: დროს კი არ აკლდება, არამედ ემატება, საათის ისარი უკუღმა ტრიალებდა.“

ძლიერი საკალათბურთო ჩემპიონატი ჰქონდა ვითომ ძლიერ ქვეყანას, ძლიერი გუნდებით და ძლიერი მოთამაშეებით. საკალათბურთო მექა, ნბა მაშინ განყენებულ, ცალკე პლანეტად აღიქმებოდა, მაგრამ ბევრ საბჭოთა ვარსკვლავს შეეძლებოდა იქ თამაში, რკინის ფარდა და იდეოლოგიური წნეხი რომ არ არსებულიყო. „როგორ არა, მქონდა მიწვევები ახალგაზრდობაში, ბლომადაც. მაგრამ მაშინ გასვლა არ შეიძლებოდა და მეც დასტა-დასტა ურნაში ვყრიდი ამ საზღვარგარეთულ ათასებიან წინადადებებს. შემდეგ კი, როდესაც საზღვრები და გზა გაიხსნა, 30-32 წლის ვიყავი და უკვე აღარავის ვჭირდებოდი“ — ნაღვლიანად ამბობს ვლადიმირ ტკაჩენკო.

ისინი ადრე ბრწყინავდნენ და ერთად ქმნიდნენ ეპოქას, ახლა კი ყველა თავის გზას ადგას, ყველა თავისას საქმიანობს. მაგალითად, მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ხოსე ბირიუკოვი დედის სამშობლო ესპანეთში სპორტის და შოუბიზნესის მენეჯერია. ტარაკანოვი ნაცნობ სტიქიაშია, ამჟამად საკალათბურთო აგენტია. პოლიტიკაში საქმიანობს ანდრეი ტიუბინი. ფიცარნაგის დატოვების შემდეგ ასე თუ ისე ყველას უპოვნია თავისი გზა. ტკაჩენკოს კი ნაკლებად გაუღიმა ბედმა — „მე ყველაფერი უბრალოდ მაქვს. მძღოლი ვარ, ბანკის მანქანაში ვზივარ“ — ამბობს ის. ჩვენ კი გვიჭირს ორ მეტრს კაიხელა მტკაველით აცილებული გიგანტის უბრალო მძღოლად წარმოდგენა. ულმობელმა დრომ მას ყველაზე მეტად დაატყო ხელი.

აღმოჩნდა, რომ ტკაჩენკო არ ითამაშებს დღევანდელ მატჩში. „ბევრჯერ ვთხოვეთ, იქნებ რამდენიმე წუთით მაინც გამოსულიყო მოედანზე, მაგრამ უარზეა — ცამეტი წელია ბურთი ხელში არ ამიღიაო“ — ამბობს ნიკოლოზ დერიუგინი. „კოლიასგან არა და, მე უკვე მივიღე მეხუთე პერსონალური“ — ხუმრობს ტკაჩენკო.

...ძველი დროის გახსენებას სანაკრებო ამბებიც, მათ შორის იუგოსლავიელებთან ჭიდილებიც მოჰყვა. „მძიმე ბრძოლები გვქონდა იუგოსლავიელებთან, აგრესიულად თამაშობდნენ და ხშირადაც უხეშობდნენ. მათთვის კალათბურთი სპორტზე მეტი იყო, რაღაცას გვიმტკიცებდნენ, რადგან მათთვის დამპყრობი ქვეყანა ვიყავით, რომელსაც შეეძლო მათთვის ბომბი ჩაეგდო. შესანიშნავი მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ ხშირად მოგვდიოდა მათთან ჩხუბი, რადგან არაფერს თაკილობდნენ და ჩვენს ნერვებზე თამაშობდნენ, კარგადაც ეხერხებოდათ. ჩემთვის სახეში შემოუფურთხებიათ, გვბწკენდნენ, ფეხს გვიდებდნენ და ჩვენც შესაფერის პასუხებს ვცემდით მათ“ — იხსენებს სერგეი ტარაკანოვი, დერიუგინთან ერთად.

ზემოთ კალათბურთის ძველი გვარდიის თამაშის-შემდგომი გზები ვახსენეთ და აქ ვთქვათ, რომ მეგობრებზე მეტად ისევ ნიკოლოზ დერიუგინი შერჩა კალათბურთს, იქნებ იმიტომაც რომ მან ადრე, ფაქტობრივად, 26 წლისამ უმძიმესი ტრავმის გამო დაასრულა დიდი კალათბურთი. ახლა ის საკალათბურთო აკადემიაში მოზარდთა მწვრთნელია და შვილს და შვილისტოლა ბიჭებს თავის უდიდეს ცოდნას უზიარებს. „26 წლის ვიყავი, როცა ტრავმა მივიღე და, ვფიქრობ, ბოლომდე ვერ დავიხარჯე. ამიტომ ის, რაც ღმერთმა მომცა, ვცდილობ, არ დავკარგო და ბავშვებს გადავცე ჩემი ცოდნა და გამოცდილება“ — ამბობს ნიკოლოზ დერიუგინი. „ის შესანიშნავ ფორმაშია“ — თქვა ზაზა ფაჩულიამ, რომელსაც ამ დღეებში მასთან წათამაშება მოუსწრია.

კოლია დერიუგინი შესანიშნავ ფორმაშია. დღეს, სამწუხაროდ, უკანასკნელად ვიხილავთ დიდ კალათბურთელს მოედანზე.

**ირაკლი ფირაშვილი**



გოლიათი ვლადიმირ ტკაჩენკოს ბედმა მძღოლობა არგუნა, არადა, მანქანაში ძლივს ეტევა


**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია**

**8 ივნისი. სპორტის სასახლე. 18 საათი**

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის

**ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისი**

**დიდ ქართველ კალათბურთელს სპორტიდან გააცილებენ:**

ევროკალათბურთის ვარსკვლავები

 შარუნას მარჩულიონისი
ალექსანდრ ვოლკოვი
რიმას კურტინაიტისი
ალექსანდრ სალნიკოვი
იგორს მიგლინიეკსი
ვლადიმირ ტკაჩენკო
ვალერი მილოსერდოვი
სერგეი ტარაკანოვი
სერგეიუს იოვაიშა
ვალდის ვალტერსი
ხოსე ბირიუკოვი
ჰეინო ენდენი

ქართული ესტრადის ვარსკვლავები

უცნობი, ზურაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, დათო ზოზარიძე, ზოზოლა ბალანჩაძე, ქრისტინა, ქართული ნაციონალური ბალეტი და სხვანი...

შოუს გაუძღვებიან: კოტე მახარაძე, დუტა სხირტლაძე, მალხაზ ქვრივიშვილი



# მაიკ ტაისონი VS ლენოქს ლუისი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამ ფეხბურთის ცქერაში ეგებ ცოტათი მიგვავიწყდა კიდეც ქალაქი, სადაც ფეხბურთისა არაფერი გაეგებათ და სადაც დღეს მძიმე წონის კრივის ალბათ ყველაზე ხმაურიანი ორთაბრძოლა გაიმართება.
მაგრამ კრივის მოყვარეს არაფრით დაავიწყდება, რომ ამაღამ მემფისის პირამიდის დარბაზში მსოფლიოს ჩემპიონი ლენოქს ლუისი თავის ორ ქამარს დებს სასწორზე და მსოფლიოს ყველაზე ცუდი ბიჭის, მაიკ ტაისონის გასალახად ემზადება.




| | | | |
|---|---|---|---|
| ასაკი | 35 | კისერი | 50სმ |
| წონა | 106 კგ | მუშტი | 30სმ |
| სიმაღლე | 180 სმ | ბარძაყი | 67სმ |
| გულისფიცარი | 108 სმ | წელი | 86სმ |
| ბიცეპსი | 43 სმ | მტევანი | 20სმ |

| | | | |
|---|---|---|---|
| ასაკი | 36 | კისერი | 47 სმ |
| წონა | 113 კგ | მუშტი | 30 სმ |
| სიმაღლე | 195 სმ | ბარძაყი | 66 სმ |
| გულისფიცარი | 112 სმ | წელი | 86 სმ |
| ბიცეპსი | 43 სმ | მტევანი | 20 სმ |

## ცხელი სამხრეთული ღამით

### ტაისონი პირველად არ არის ფავორიტი

### ლუისის ბანაკი სწრაფ ნოკაუტზე ლაპარაკობს

**ლუისი** ტოტალიზატორთა ფავორიტია, მაგრამ ტაისონი ტაისონია და ბრძოლა, რომელსაც პირველად გადმოსცემს კრივის ორი ამერიკული ტელეარხული, შოუთაიმი და ეიჩბიოუ, დიახაც, რომ დიდ სანახაობად წარმოდგება.

ელვის პრესლის მშობელ ქალაქში, სადაც კაზინოები მისისიპიზე დაცურავენ, დადებითი და უარყოფითი ჩხუბობენ. ოღონდ კი, კრივი ისეთი რამაა, რომ ოსტატთა წესიერებას და უწესობას სათვალავში ვერ იღებს და ამიტომაც ძნელია გამოიცნო, რა მოხდება რინგზე, სადაც დიდოსტატი და მაინც დიდოსტატი იბრძოლებენ.

აღარც ბრიტი ლუისია ბავშვი და აღარც რკინის მაიკი. ორივენი ორმოცს მიტანებული ხარები გახლავან. ეგებ ისეც აეწყოს, რომ ეს ორთაბრძოლა ორივესთვის უკანასკნელი იყოს კარიერაში. მათი ფიზიკური მონაცემებისა და საყვარელი საკრივო ილეთების ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა, ის კი უნდა შევახსენოთ, რომ ტანმაღალი ლუისი კრივის შემოქმედებით მხარესა სცემს პატივს და ბრძოლის მანერაც კლასიკურ-წელგამართული აქვს წინ გაშვერილი გრძელი ხელით. ტაისონს ოდესღაც დინამიტი ერქვა. ის განასახიერებდა ამერიკული კრივის დიდოსტატთა ელვისებურობას და მსოფლიოში ყველაზე კარგად ეხერხებოდა მარჯვენა-მარცხენა-მარჯვენით შეტევა, რისი შედეგიც, ჩვეულებრივ, ნოკაუტი იყო. კარგა ხანია, მაიკი ის აღარ არის, რაც უწინ იყო. ერთია ტაისონი პირველ ტუსაღობამდე და მეორე — ამ ტუსაღობის შემდეგ. ის ახლა ბევრად უფრო ჩვეულებრივია, მაგრამ მაინც ტაისონია და დიდი ოსტატობისა და არაადამიანური ინსტინქტების წყალობით კვლავაც შეიძლება ჩაითვალოს რინგის ყველაზე საშიშ მხეცად.

ბრძოლისთვის მზადებაში საკვირველი ის იყო, რომ ტაისონი თავის ბანაკში შეიკეტა და საჩვენებელ ვარჯიშზეც კი ჟურნალისტებთან ლექსაობას მოერიდა. ერთი ისა თქვა, რომ ლუისი „ბოზი“ და „მშიშარაა“ და ამით დაამთავრა. მისი ბანაკის ამგვარმა პოლიტიკამ სალაპარაკო გააჩინა, ტაისონი ხომ ბევრს ილანძღება ხოლმე და ამით მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანას ცდილობს.

არ გამოცხადდა ტაისონი ხუთშაბათის ტრადიციულ, ერთობლივ პრესკონფერენციაზეც, რომელიც „მისისიპი კაზინოში“ გაიმართა მშვიდი მუსიკის ფონზე. აქ თეთრხელთათმანიანი მიმტანები ტრიალებდნენ და ეგზოტიკური საუზმეულით უმასპინძლდებოდნენ ჟურნალისტებს. მშვიდ, ამგვარ შეხვედრებისთვის არატრადიციულ ვითარებაში ლენოქს ლუისმა გული გადაუშალა ჟურნალისტებს და უთხრა, რომ სულაც არ სძულს ტაისონი.

„ცუდად მოიქცა, აქ რომ არ მოვიდა — თქვა ჩემპიონმა — ამისთანას რას ვარჯიშობს? მგონია, რომ ის რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და მწვრთნელები ყველანაირად ცდილობენ, გონს მოიყვანონ. აქ მოსვლა ამიტომაც ვერ შეძლო. რაც შემეხება მე, ერთი სული მაქვს, რინგზე როდის გავალ. შიში? ალბათ ყოველთვის არის შიშის რაღაც ნაწილი. მასაც და მეც გვეშინია, რომ არ წავაგოთ“.

საერთოდ, ლუისი ძალიან მოზომილად და ზრდილობიანად ლაპარაკობდა, თუნდაც იმიტომ, რომ იქ იყვნენ სკოლის მოწაფეები, რომელთაც ლენოქსი თავის ჰობიში, ჭადრაკშიაც კი გაეჯიბრა.

ნაკლებდიპლომატიური იყო ჩვეულებრივ ჯენტლმენი ემანუილ სტიურდი, ლუისის მწვრთნელი: „ერთადერთი კაცი, რომელიც დღევანდელ მძიმე წონაში ყოველთვის გაურბოდა ნამდვილ ბრძოლებს, სწორედ ტაისონია. 1996 წლის შემდეგ მას ხეირიანი მოწინააღმდეგე არ ჰყოლია. ხუთი წლის წინათ მან საბჭოს ქამარიც კი დათმო, რათა ლენოქსს არ შეხვედროდა. ხუთი წელიწადია, ამ ბრძოლას ვითხოვთ და საბოლოოდ ვეღარ დაგვემალა. მაშინ ეშინოდა და ახლა რა დღეში იქნება?!“ სტიუარდი არ მალავს, რომ ძალიან ღელავს, რადგან საქმე მაინც ტაისონთან აქვს, თუმცა აცხადებს: „რა თქმა უნდა, გამოცდილი მწვრთნელები შეეცდებიან, რომ საუკეთესო ტაისონი გვიჩვენონ, მაგრამ ბრძოლა ორ რაუნდსაც არ გაგრძელდება. ლენოქსი ნოკაუტში ჩააგდებს ტაისონს“.

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ პირველადაა, რომ ტაისონი ფავორიტად არავინ აღიარა და მისი მოგების ფსონი ბევრად მაღალია, ვიდრე ლუისისა.

აწონვაზეც კი მოკრივენი სხვადასხვა დროს მივიდნენ, რაც ასევე ტაისონის ბანაკის მოთხოვნა იყო და ამითაც ტრადიცია დაირღვა. ტაისონი ლუისის აწონვიდან სამი საათის შემდეგ გამოცხადდა მემფისის ღირსშესანიშნაობათა ცენტრში. ის შემხდარი ჩანდა, დარბაზიდან კი ქალების კივილი მოისმა, ჩვენ შენ გვიყვარხარ, მაიკო.

ტაისონის მწვრთნელმა რონი შილდსმა განაცხადა: „შეხედეთ მაიკს, ის ფორმაშია. ჩვენ გვინდა ეს ბრძოლა“.

მოკრივეთა ბრძოლამდე დაშორიშორება ტაისონის მოთხოვნით კი მოხდა, მაგრამ ბრძოლის მომწყობთა საერთო სურვილის შედეგიც ყოფილა. ლუის-ტაისონის ერთობლივმა პრესკონფერენციებმა ამ მოკრივეთა იმიჯზე და მომავალ ბრძოლაზე უარყოფითად იმოქმედა და ხალხში სანახაობის ინტერესის ჩაქრობის საშიშროებაც კი გაჩნდა.

ამიტომ მოკრივეები დააშორეს.

თუმცა, ისინი ერთმანეთს ვერ დაემალებიან.

ამაღამ მისისიპიზე, ძველ ამერიკულ ადგილას მართლაც დიდი ამბავი გათამაშდება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**




REUTERS

მემფისის საწვრთნელი ბანაკიდან გამოსულ მაიკ ტაისონს გეი-აქტივისტები დახვდნენ და მოუწოდეს, ხელი აიღე ძალადობაზეო



REUTERS

წესიერი კაცის იმიჯი ლენოქს ლუისმა პრესკონფერენციაზეც განიმტკიცა: ბავშვებს ხელიც ჩამოართვა და ჭადრაკიც ეთამაშა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge